შირაქი

SHIRAKI

გილოცავთ
კანდიდატის სტატუსს

გამოდის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№47 (10.102)
16—23 დეკემბერი 2023 წელი
ფასი: 60 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა

საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა გახდა

საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა გახდა. ევროპულმა საბჭომ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების გადაწყვეტილება მიიღო. ამის შესახებ ევროპული საბჭოს პრეზიდენტის შარლ მიშელის მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი. ამასთან, ევროპულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, უკრაინასა და მოლდოვასთან გაწევრიანების მოლაპარაკებების გახსნის შესახებ.

„ევროპულმა საბჭომ გადაწყვიტა უკრაინასთან და მოლდოვასთან გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებები გახსნას. ევროპულმა საბჭომ საქართველოს კანდიდატის სტატუსი მიანიჭა. ასევე ევროკავშირი გახსნის მოლაპარაკებებს ბოსნია-ჰერცეგოვინასთან მას შემდეგ, რაც წევრობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის საჭირო ხარისხი იქნება მიღწეული და მოიწვია კომისია, მოამზადოს შესაბამისი ანგარიში ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად. ეს არის იმედის ცხადი მესიჯი მათი ქვეყნებისა და ჩვენი კონტინენტისთვის", – დაწერა შარლ მიშელმა.

ეს ნამდვილად არის ღირსეულად მოპოვებული დამსახურებული სტატუსი, რომელიც ჩვენ, ხელისუფლებამ ჩვენს ხალხთან ერთად და ჩვენი ხალხისთვის მოიპოვა, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა. მან მოქალაქეებს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მოპოვება მიულოცა.

„დიდი სიამაყით და სიხარულით გილოცავთ ისტორიულ გადაწყვეტილებას. საქართველო გახდა ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა. გილოცავთ ყველას! მინდა თითოეულ მოქალაქეს მოგილოცოთ დღევანდელი ისტორიული დღე. ეს ნამდვილად არის ჩვენი ქვეყნისა და ხალხის გამარჯვება. ეს ნამდვილად არის ღირსეულად მოპოვებული დამსახურებული სტატუსი, რომელიც ჩვენ, ხელისუფლებამ ჩვენს ხალხთან ერთად და ჩვენი ხალხისთვის მოიპოვა. ჩვენ ვიბრძოლეთ, ჩვენ გავიმარჯვეთ!" – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ევროპულმა საბჭომ საქართველოს კანდიდატის სტატუსი მიანიჭა. ამასთან, ევროპულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, უკრაინასა და მოლდოვასთან გაწევრიანების მოლაპარაკებების გახსნის შესახებ.

„მინდა განსაკუთრებულად მივულოცო დღევანდელი ისტორიული გამარჯვება ჩვენი გუნდის თითოეულ წევრს, მთავრობის თითოეულ წევრს, ათასობით საჯარო მოხელეს, ჩვენს პარლამენტს, ჩვენს პარტიას, მმართველ გუნდს, თითოეულ წევრს, ვინც თავისი ღირსეული წვლილი შეიტანა ამ დიდი ისტორიული გამარჯვების მიღწევაში, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, 14 დეკემბერი ჩაიწერება როგორც ისტორიული თარიღი.

„მინდა მივულოცო ყველას. მინდა მივულოცო ეს დღე ჩვენი პარტიის დამფუძნებელს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს, რომლის მმართველობამაც მოიტანა სწორედ დღევანდელი დღე და ეს გამარჯვება და ეს წარმატება. ჩვენ 2012 წლიდან მოყოლებული, ჩვენმა გუნდმა, ჩვენმა პოლიტიკურმა გუნდმა მიაღწია მაქსიმუმს და დღევანდელი დღე შეიძლება ითქვას არის ერთგვარი დაგვირგვინება ჩვენი წარმატებული მმართველობისა.

მე მხვდა წილად პატივი, რომ ჩვენი ქვეყნის სახელით და ჩვენი გუნდის სახელით ხელი მომეწერა ჯერ ასოცირების შეთანხმებაზე, შემდეგ ჩემი მმართველობის პირველი პრემიერობის დროს ჩვენ წარმატებით დავასრულეთ უვიზო რეჟიმთან დაკავშირებული მოლაპარაკებები, შარშან უკვე მე მქონდა პატივი, რომ უკვე ოფიციალურად ჩვენი ქვეყნის სახელით შემეტანა განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე. შარშან მივიღეთ ევროპული პერსპექტივა, რითაც დამტკიცდა, რომ ჩვენი ქვეყანა გახდება ევროპული ოჯახის წევრი და დღეს უკვე 14 დეკემბერი ჩაიწერება როგორც ისტორიული თარიღი. საქართველო დღეიდან არის ევროპული სახელმწიფო, ევროპული ქვეყანა. საქართველო არის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყანა. ასე რომ, ეს გამარჯვება გეკუთვნით თქვენ, ძვირფასო მოქალაქენო, ეს არის ჩვენი შრომის, ჩვენი ბრძოლის შედეგი და კიდევ ერთხელ მე მინდა მადლობა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ ისტორიული გამარჯვების საქმეში თითოეული აგური დადო და ეს გამარჯვება მოუტანა ჩვენს ხალხს. დიდი მადლობა. ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი", - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

რა ხდებოდა გადაწყვეტილების მიღებამდე ბრიუსელში?

ბრიუსელში 14 დეკემბერს დაიწყო ევროპული საბჭოს სამიტი, სადაც ლიდერები განიხილავდნენ ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკას, სტაბილიზაციისა და ასოცირების პროცესში შემდგომ ნაბიჯებს. ასევე, უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიული ომის საკითხებს, უკრაინისა და მისი ხალხისადმი ევროკავშირის უწყვეტ მხარდაჭერას.

სამიტამდე ცნობილი გახდა, რომ უკრაინასთან მოლაპარაკებების გახსნის წინააღმდეგი იყო უნგრეთის პრემიერი ვიქტორ ორბანი. მან ევროპული საბჭოს პრეზიდენტს, შარლ მიშელს, მისწერა წერილი, რომ საბჭოს შეხვედრაზე უკრაინის ევროკავშირში გაწევრიანების მოლაპარაკებების დაწყებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების მოლოდინი „უსაფუძვლოა - პოლიტიკური და ტექნიკური მომზადების დღეს არსებული დონის გათვალისწინებით".

14 დეკემბერს, ევროკავშირის სამიტის წინ, უნგრეთის პრემიერ მინისტრმა ვიქტორ ორბანმა დაჟინებით მოითხოვა, რომ ბლოკმა ჯერ არ დაიწყოს მოლაპარაკებები უკრაინის გაწევრიანების თაობაზე. კიევისთვის, რომელიც თავს რუსეთის სრულმასშტაბიანი თავდასხმისგან თითქმის ორი წელია იცავს, ევროპული მხარდაჭერა ახლა კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

ორბანი ასევე ბლოკავს უკრაინისთვის 50 მილიარდი ევროს (54 მილიარდი დოლარის) ფინანსური დახმარების მიწოდებას. თუმცა, ასევე მიანიშნებს, რომ ამ მიმართულებით მოლაპარაკება და გარკვეული კომრომისები გამორიცხული არ არის.

უკრაინის დასავლური დახმარება შეერთებული შტატებიდანაც შეფერხებულია. ამერიკის კონგრესს ჯერ კიდევ არ დაუმტკიცებია უკრაინის დახმარების დაახლოებით 60-მილიარდიანი ბიუჯეტი, რომელიც პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა კანონმდებლებს წარუდგინა.

უკრაინის ევროპის კავშირში გაწევრიანებაზე მოლაპარაკების დაწყებას ბლოკის 27 ქვეყნიდან, უნგრეთის გარდა, ყველა მხარს უჭერდა. თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილებისთვის აბსოლუტური თანხმობა იყო საჭირო და ბუდაპეშტს ვეტოს უფლება ჰქონდა.

„უნგრელები... წნეხის გამო თავს არ დახრიან", – თქვა ბრიუსელში ევროკავშირის სამიტზე ჩასულმა ორბანმა. „არსებობს წინაპირობები, რომლებიც არ შესრულებულა. საბჭო იმ პოზიციაში არ არის, რომ გადაწყვეტილება მიიღოს" - განაცხადა უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა. „ჩვენ გაგვაჩნია პოზიცია და მას დავიცავთ" – დასძინა ორბანმა.

ევროკავშირის პოლიტიკის ექსპერტების დიდი ნაწილის შეფასებით, ორბანის ერთ-ერთი მიზანი იყო ევროკავშირის დაფინანსების აღდგენა, რომელიც შეჩერებულია წლების განმავლობაში ადამიანის უფლებებსა და კანონის უზენაესობაში არსებული დარღვევების გამო. ბუდაპეშტისთვის გაყინული თანხის მოცულობა ევროკავშირის ფონდებში ჯამში 22 მილიარდი ევროა. ევროკავშირმა ორბანს არც ეს მოთხოვნა დაუკმაყოფილა, რადგან ჩათვალა, რომ მისი ულტიმატუმის მიღება არ იქნებოდა ორბანის დადებითი გადაწყვეტილების გარანტი.

(დასასრული გვერდი 4)

გამოიწერეთ გაზეთი »შირაქი» მხოლოდ 20 ლარად

პრემიერის ინიციატივით რეგიონებს ავტობუსები გადაეცემა

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, საქართველოს რეგიონებისთვის ახალი ავტობუსების შეძენა განხორციელდა. როგორც მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, დღეიდან ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების მოსახლეობას ახალი 51 ერთეული „ისუზუს“ ფირმის ავტობუსი მოემსახურება.

მათივე ცნობით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი, ლერი ბარნაბიშვილი ქალაქ რუსთავში რეგიონებისთვის ახალი სამგზავრო ავტობუსების გადაცემის ღონისძიებას დაესწრო.

„პროექტი ითვალისწინებს „ისუზუს“ ფირმის 154 ერთეული, 8-მეტრიანი ავტობუსების შესყიდვას, რომლებიც ქვეყნის 38 მუნიციპალიტეტში გადანაწილდება. ავტობუსები მოქალაქეების შიდა და საქალაქთაშორისო ტრანსპორტირებას მოემსახურება. თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ავტობუსები 47 მგზავრზეა გათვლილი და ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.

ახალი, კომფორტული, **EURO 5**-ი სტანდარტის ავტობუსების შეძენით რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას წლების განმავლობაში არსებული შიდა სატრანსპორტო გადაადგილებასთან დაკავშირებული პრობლემა მოუგვარდება. გარდა ამისა, შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები.

ახალ ავტობუსთა შესყიდვისთვის ბიუჯეტიდან 53 მილიონ ლარამდეა გამოყოფილი. შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერის გამარჯვებულმა კომპანიამ „ჯითი გრუპი“ 51 ერთეული ავტობუსი საქართველოში უკვე ჩამოიყვანა, პროცესი გრძელდება მიმდინარე წლის ბოლომდე, ავტობუსების ნაწილი კი ქვეყანაში 2024 წლის დასაწყისიდან ეტაპობრივად ჩამოვა“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

როგორც ლერი ბარნაბიშვილმა აღნიშნა, მთავრობის გადაწყვეტილებით, რეგიონის მუნიციპალიტეტების სპეციფიკიდან და მოთხოვნიდან გამომდინარე, კვლავ გაგრძელდება ავტობუსების, ასევე მიკროავტობუსების შეძენა

„საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით დღეიდან რეგიონების მოსახლეობას თანამედროვე, ევროპული სტანდარტის სამგზავრო ავტობუსები ეყოლება. ეს პროგრამა ემსახურება შიდა საქალაქთაშორისო მუნიციპალური ტრანსპორტის აღდგენასა და შემდგომ განვითარებას, რისთვისაც როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოიყო 53 მილიონი ლარი და შეძენილ იქნა ,,ისუზუს“ მარკის, **EURO 5**-ი სტანდარტის 154 ერთეული ახალი სამგზავრო ავტობუსები, რომლებიც ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. როგორც ხედავთ, 51 ერთეული ავტობუსი ადგილზეა და გაემგზავრება სამცხე-ჯავახეთის, მცხეთა-მთიანეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში, დანარჩენი 20 კი თვის ბოლოს იქნება ადგილზე და ასევე გაიგზავნება ჩვენს რეგიონებში. 2024 წლის თებერვლის ბოლომდე დასრულდება ავტობუსების ადგილზე ჩამოყვანა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ გადაწყვეტილებით ერთხელ და სამუდამოდ მოიხსნება ჩვენს რეგიონებში შიდა და საქალაქთაშორისო გადაადგილებასთან დაკავშირებით არსებული პრობლემა. პროგრამა ერთჯერადი არ არის, მთავრობის გადაწყვეტილებით რეგიონის მუნიციპალიტეტების სპეციფიკიდან და მოთხოვნიდან გამომდინარე, კვლავ გაგრძელდება ავტობუსების, ასევე მიკროავტობუსების შეძენა. რეგიონების განვითარების ფარგლებში ამავდროულად შეძენილია ,,ივეკოს” ფირმის ნაგავმზიდები, რაშიც უკვე გადახდილია 33 მილიონ ლარზე მეტი“, – განაცხადა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა ლერი ბარნაბიშვილმა.

გარდა ავტობუსებისა, საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტებისთვის ასევე შეძენილია 90-მდე, 10 და 16-კუბიანი „ივეკოს“ ფირმის ნაგავმზიდები, რომლებიც საქართველოს ყველა რეგიონში (სულ 49 მუნიციპალიტეტში) გადანაწილდება. ნაგავმზიდების შესყიდვა ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან მოხდა, რომლის ღირებულებაც 33 მილიონ ლარზე მეტს შეადგენს.

ილია II – სტატუსის მიღებით გვეხსნება ახალი შესაძლებლობები

უწმინდესი და უნეტარესი ილია II ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებასთან დაკავშირებით მიმართვას ავრცელებს და საზოგადოებას ულოცავს:

„14 დეკემბერი გამორჩეული დღეა, რადგან ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებით გვეხსნება ახალი შესაძლებლობები ქვეყნის შიგნით პოლიტიკური სტაბილურობისა და საერთაშორისო ურთიერთობებში სტატუსის ამაღლებისა; ასევე, კულტურული, მეცნიერული, ტექნიკური და ეკონომიკური წინსვლისა.

ვიმედოვნებთ, რომ ეს კავშირი ურთიერთგამამდიდრებელი იქნება და ჩვენი ქვეყნის ქრისტიანული ტრადიციების და სულიერი ფასეულობების განმტკიცებასაც შეუწყობს ხელს.

კანდიდატის სტატუსის მიღებაში ჩვენი ამჟამინდელი ხელისუფლების დიდი ძალისხმევა, ჩვენი ხალხის მონდომება და მრავალი ადამიანის შრომაა ჩადებული; ამ გზის გაკაფვაში დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან საქართველოს ყველა ხელისუფლებასაც თავისი წვლილი აქვს შეტანილი.

გილოცავთ და გლოცავთ!

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მეოხებით ინებოს ღმერთმა საქართველოს ერთობა, მშვიდობა და წარმატებული მომავალი“. – აცხადებს საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია მეორე მიმართვაში.

პარლამენტმა სამშენებლო ამნისტია დაამტკიცა

პარლამენტმა ე.წ. სამშენებლო ამნისტია დაამტკიცა. ცვლილებები „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონსა და „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში“ განხორციელდა.

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოში ასობით ათასი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლია, რომელთან დაკავშირებითაც თავის დროზე სამშენებლო დოკუმენტაცია არ გაცემულა, არ არსებობდა შესაბამისი პროექტები ან ექსპლუატაციაში მიღების აქტი და საკითხი მოწესრიგებას საჭიროებს.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონში ცვლილების მიხედვით, საკადასტრო აგეგმვითი-აზომვითი სამუშაოების შემსრულებელ პირად აკრედიტებული სუბიექტის მიერ სერტიფიცირებული ფიზიკური პირი განისაზღვრება. როგორც მთავრობა განმარტავს, სერტიფიცირებული პირის მიერ ჩატარებული საკადასტრო აგეგმვითი-აზომვითი სამუშაოები შესრულებული იქნება მაღალი ხარისხით, ერთიანი სტანდარტების გათვალისწინებით, რაც უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში სრულყოფილი მონაცემების დარეგისტრირებას განაპირობებს.

რაც შეეხება „სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში“ განხორციელებულ ცვლილებას, ეს არის ე.წ. სამშენებლო ამნისტია. პროექტის მიხედვით, კანონიერად ჩაითვლება ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე 2024 წლის 1-ელ იანვრამდე მიწის მესაკუთრის მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა და დამხმარე შენობა-ნაგებობების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მშენებლობა.

საქართველო უსაფრთხო ქვეყნად აღიარეს

გერმანიის საკანონმდებლო ორგანოს ზედა პალატამ საქართველო და მოლდოვა უსაფრთხო ქვეყნებად აღიარა. ამ გადაწყვეტილების შედეგად, გერმანიის მთავრობა შეძლებს, დააჩქაროს და გაამარტივოს ამ ქვეყნების მოქალაქეების მიერ წარდგენილი თავშესაფრის მიღების განაცხადების განხილვა და უფრო სწრაფად მოახდენს იმ პირთა დეპორტაცია, ვისაც თავშესაფარზე უარს ეტყვიან.

როგორც გერმანული მედია წერს, შესაბამისი გადაწყვეტილება ბუნდესრატმა 15 დეკემბერს მიიღო. მანამდე, ნოემბერში კანონპროექტი დაამტკიცა ბუნდესტაგმა — გერმანიის საკანონმდებლო ორგანოს ქვედა პალატამ. ის ძალაში პრეზიდენტის ხელმოწერის შემდეგ შევა.

მანამდე, გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა, ნენსი ფეზერმა განაცხადა, რომ საქართველოს და მოლდოვას ევროკავშირში შესვლა სურთ და ამ ქვეყნებში მოქალაქეებს პოლიტიკური ნიშნით არ დევნიან.

„ამას გარდა, ყოველი მეათე თავშესაფრის მაძიებელი გერმანიაში საქართველოდან და მოლდოვიდან ჩადის, ხოლო მათი უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნებად აღიარება, საშუალებას მოგვცემს, საკმაოდ სწრაფად და ეფექტურად შევამციროთ არალეგალური მიგრაციის მასშტაბები“, — განაცხადა გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა. მისივე თქმით, საქართველოსა და მოლდოვის მოქალაქეებზე მოდის თავშესაფრის მიღების უარყოფილი განაცხადების მთელი რაოდენობის 10%.

უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნებად გერმანიაში აღიარებულია ასევე ალბანეთი, ბოსნია, განა, კოსოვო, ჩრდილოეთ მაკედონია, სენეგალი, სერბია და მონტენეგრო.

ელექტროენერგიის წარმოება გაიზარდა

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური დეკლარირებული მონაცემების მიხედვით, საქართველოში ელექტროენერგიის წარმოება 2022 წელს, წინა წელთან შედარებით, 12.7 პროცენტით გაიზარდა და 14 246.6 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა. ელექტროენერგიის წარმოების ზრდა ძირითადად განპირობებული იყო გაზრდილი წყალმოდინებით. გარდა ამისა, 2022 წლის განმავლობაში მოპოვებულია 36.6 ათასი ტონა ნედლი ნავთობი, რაც 2021 წელთან შედარებით 3.1 პროცენტით მეტია, 146.3 ათასი ტონა ქვანახშირი, რაც წინა წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 1.1 პროცენტით ჩამორჩება და 14.6 მილიონი მ3 ბუნებრივი გაზი — კლებამ წინა წელთან შედარებით 8.8 პროცენტი შეადგინა.

ამასთან, 2022 წელს, წინა წელთან შედარებით, შეშის წარმოება 11.4 პროცენტით შემცირდა და 1 113.5 ათასი მ3 შეადგინა. წარმოების სტრუქტურაში უდიდესი წილი — 78.1 პროცენტი მოდის ელექტროენერგიაზე. მეორე ადგილს იკავებს ბიოსაწვავი და ნარჩენებისგან წარმოებული ენერგია 13.3 პროცენტით, რომელიც ძირითადად წარმოდგენილია შეშის სახით, ხოლო დანარჩენი სახეობის ენერგორესურსები სტრუქტურაში შედარებით დაბალი წილით ხასიათდება.

უწყების ინფორმაციით, 2022 წელს ელექტროენერგიის საბოლოო მოხმარებამ 13 385.5 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა, რაც 2.0 პროცენტით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე. 2022 წლის მონაცემებით, ბუნებრივ გაზზე მოთხოვნის მოცულობამ შეადგინა 3 361.0 მილიონი მ3, რაც წინა წელთან შედარებით 20.0 პროცენტით მეტია, ხოლო ბუნებრივი გაზის საბოლოო მოხმარებამ ამავე პერიოდში 2 528.7 მილიონი მ3 შეადგინა, რაც 13.6 პროცენტით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. 2021 წელთან შედარებით ბუნებრივი გაზის მოხმარება 9.4 პროცენტით გაიზარდა შინამეურნეობების სექტორში. მოთხოვნის შესაბამისად, ბუნებრივი გაზის მოხმარება გაიზარდა საგზაო ტრანსპორტში და მრეწველობის ცალკეულ დარგებში.

2022 წელს ქვეყანაში მოხმარებულია 1 375.4 ათასი ტონა ნავთობპროდუქტი, რაც წინა წელთან შედარებით 1.1 პროცენტით მეტია. ენერგორესურსების მოხმარების სტრუქტურაში 41.8 პროცენტი მოდის ბუნებრივ გაზზე. შედარებით მაღალი წილით ხასიათდება აგრეთვე ნავთობპროდუქტები — 27.1 პროცენტით და ელექტროენერგია — 22.2 პროცენტით. წლის განმავლობაში მოხმარებული ენერგიის 4.5 პროცენტს შეადგენს ქვანახშირი, ხოლო დარჩენილი 4.4 პროცენტი მოდის ბიოსაწვავზე, გეოთერმულ და მზის ენერგიაზე.

2022 წლის ენერგორესურსების მოხმარების სექტორული ანალიზი აჩვენებს, რომ ენერგორესურსების ყველაზე დიდი მომხმარებელია ტრანსპორტის და შინამეურნეობების სექტორები, რომლებზეც მოდის მთლიანი მოხმარების, შესაბამისად 31.1 და 30.4 პროცენტი. რაც შეეხება სხვა დარგებს, 18.1 პროცენტი — მრეწველობის, 4.3 პროცენტი — მშენებლობის, 0.6 პროცენტი — სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის დარგებზე, ხოლო დარჩენილი 15.6 პროცენტი — კერძო და სახელმწიფო მომსახურებაზე და სხვა მომხმარებლებზე ნაწილდება.

2024 წლის ბიუჯეტის პროექტი საჯაროდ განიხილეს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი უძღვებოდა. მან დამსწრე საზოგადოებას დეტალურად გააცნო 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ზოგადი პარამეტრები-საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილი და აღნიშნა, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მთავარი ფინანსური დოკუმენტი ამჯერადაც მიმართულია მოსახლეობის კეთილდღეობისკენ და ის სოციალურად ორიენტირებულია. კვლავ გაგრძელდება მრავალი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც დედოფლისწყაროს მეტად მიმზიდველს გახდის როგორც ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის, ასევე უცხოელი ტურისტებისთვის.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა **ნიკოლოზ ჯანიაშვილმა** ადგილობრივი ხელისუფლების ახალი ინიციატივა გააცნო დამსწრე საზოგადოებას, რომელიც მუნიციპალური ტრანსპორტის ამოქმედებას შეეხება. „ავტობუსები იმოძრავებენ კონკრეტული მარშრუტით და ისინი ქალაქ დედოფლისწყაროსა და ორი სოფლის-სამრეკლოსა და ხორნაბუჯის მოსახლეობას მოემსახურებიან. მომავალში სხვა სოფლებთან დამაკავშირებელი ტრანსპორტის დანიშვნაც იგეგმება. საქართველოს მთავრობა მუშაობს კანონზე, რომელიც დაარეგულირებს სატრანსპორტო სისტემას, ის გარკვეულ ჩარჩოში მოექცევა და ასეთი უკონტროლო აღარ იქნება- დაწყებული სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობიდან, დამთავრებული მძღოლების კომპეტენციითა თუ ტრანსპორტის მოძრაობის განრიგით, რომელიც მოსახლეობის კეთილდღეობასა და უსაფრთხოებაზე იქნება მორგებული“.

მუნიციპალიტეტის მთავარი ფინანსური დოკუმენტის განხილვას მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, მერიის სტრუქტურული ერთეულების და ა(ა)იპ-ების წარმომადგენლები, ასევე დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებას საკრებულო კენჭს , 20 დეკემბრის სხდომაზე უყრის.

ინგა შიოლაშვილი

დედოფლისწყაროს მერია საუკეთესო პრაქტიკისთვის დაჯილდოვდა

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულმა ასოციაციამ (ათეა), რიგით მეექვსე ეროვნული კონფერენცია გამართა და საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის (BPP) კონკურსში გამარჯვებული 12 მუნიციპალიტეტი დააჯილდოვა, რომელთა შორის დედოფლისწყაროც მოხვდა. სპეციალური პრიზები და სიგელები, ამბროლაურის, ბათუმის, ზუგდიდის, ლაგოდეხის, ონის, სენაკის, ფოთისა და ქუთაისის ასევე, დედოფლისწყაროს, დმანისისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების პირველ პირებს გადაეცათ. ევროსაბჭოს პროექტის ფარგლებში, ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით, თვითმმართველ ერთეულებში დანერგილი პროგრამებისთვის დაჯილდოვდნენ - დედოფლისწყაროს, დმანისისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტები. ჯილდო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს, ნიკოლოზ ჯანიაშვილს გადაეცა, რომელმაც დარბაზს სიტყვით მიმართა.

გამარჯვებული მუნიციპალიტეტები საუკეთესო პრაქტიკის კონკურსის მმართველმა კომიტეტმა, საჯარო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებითა და შესაბამისი დარგის ექსპერტებით დაკომპლექტებული შეფასების კომისიის რეკომენდაციის გათვალისწინებით გამოავლინა.

აღსანიშნავია, რომ ღონისძიება, ევროკავშირის **(EU)** და გაეროს განვითარების პროგრამის **(UNDP)** ინიციატივა „მერები ეკონომიკური ზრდისთვის **(M4EG)**, დანიის მთავრობის, ასევე აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა **(USAID)** და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების **(GIZ)**, მხარდაჭერით მოეწყო.

დაჯილდოების ცერემონიამდე, დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართეს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ, მზია გიორგობიანმა, დანიის ელჩმა საქართველოში, ენ ტოფტ სორენსენმა და ევროკავშირის წარმომადგენლობის თანამშრომლობის ოფისის ხელმძღვანელის მოადგილემ, კატალინ გერმანმა, ასევე საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის **(UNDP)** მუდმივი წარმომადგენლის მოადგილემ, ანნა ჩერნიშოვამ, **USAID**-ის **DRG** ოფისის დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა, კორინ როთბლუმმა, საქართველოში გერმანიის საელჩოს განვითარების დეპარტამენტის უფროსმა, ლიდია კრისტმანმა და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში, პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა, ნიკო თათულაშვილმა.

გამომსვლელებმა კონკურსის მნიშვნელობაზე ისაუბრეს და ხაზი გაუსვეს ათეას ფასდაუდებელ როლს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიმართულებით. ასევე აღინიშნა, რომ ასოციაცია, სტიმულს აძლევს თვითმმართველ ერთეულებს ყოველ წელს უზრუნველყონ უკეთესი სერვისები.

ფართომასშტაბიანი კონფერენცია, რამდენიმე სესიად დაიყო, სადაც დამსწრე საზოგადოებას საშუალება ჰქონდა დეტალურად გასცნობოდა ათეას პროექტს, „პარტნიორობა ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის რეფორმისთვის საქართველოში“.

USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ექსპერტმა, შოთა მურღულიამ, პრეზენტაციის სახით კვლევა წარმოადგინა, რომელიც მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი შემოსავლების წყაროების ანალიზზე დაყრდნობით შემუშავდა. კონფერენციის დასკვნითი ნაწილი დაჯილდოების ცერემონიას დათმო, რომელსაც ფასილიტაციას უწევდა საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის ექსპერტი, ნინო ზურაბიშვილი. მისი განმარტებით, გამარჯვებული თვითმმართველი ერთეულები საუკეთესო პრაქტიკის კონკურსის მმართველმა კომიტეტმა, საჯარო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებითა და შესაბამისი დარგის ექსპერტებით დაკომპლექტებული შეფასების კომისიის რეკომენდაციის გათვალისწინებით გამოავლინა.

ფართომასშტაბიან ეროვნულ კონფერენციას, რომელიც სასტუმროში „ჰოლიდეი ინნ თბილისი“ გაიმართა, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, ასევე არასამთავრობო სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო განვითარების სააგენტოების წარმომადგენლები, საქართველოს მუნიციპალიტეტების პირველი პირები და დარგის აღიარებული ექსპერტები ესწრებოდნენ.

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია, დონორი ორგანიზაციების ხელშეწყობით, 2018 წლიდან ახორციელებს საუკეთესო პრაქტიკის პროგრამას **(Best Practice Program)**, რომელიც ევროპის საბჭოს მიერ აღიარებული ინსტრუმენტია კარგი მმართველობის წარმატებული მაგალითების გამოვლენისა და გაზიარებისთვის.

ფესტივალზე „ევროპალია–საქართველო“

ფესტივალზე „ევროპალია-საქართველო“ ბელგიის ქალაქ გენტში ექვსი ქართველი პოეტი ქალის კრებულის - „მე ბევრი ვარ” - პრეზენტაცია გაიმართა. ფესტივალზე მონაწილეობდა წარმოშობით დედოფლისწყაროელი პოეტი ირმა შიოლაშვილი, რომლის ლექსებიც ამ პოეტურ კრებულში შევიდა.



საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით მიმდინარე საერთაშორისო ფესტივალზე „ევროპალია-საქართველო“ ქალაქ გენტში მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული ექვსი ქართველი პოეტის ქალის ლექსების სამენოვანი (ქართული, ფრანგული, ნიდერლანდური) კრებულის - ,,მე ბევრი ვარ”- პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიებას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარმომადგენელი ალექსანდრე გრიგალაშვილი, საქართველოს მწერალთა სახლის დირექტორი ქეთევან დუმბაძე, პოეტები ელა გოჩიაშვილი, რუსუდან კაიშაური, ირმა შიოლაშვილი, გამომცემელი რუსუდან მოსიძე, მთარგმნელი ინგრიდ დეხრავე, ,,ევროპალიის” წარმომადგენლები და სხვა მიწვეული სტუმრები ესწრებოდნენ. დამსწრე საზოგადოებას ქართველმა პოეტებმა საკუთარი შემოქმედება გააცნეს და აუდიტორიის მოწონება დაიმსახურეს. მათთან ერთად საკუთარ შემოქმედებაზე ისაუბრა ბელგიაში მცხოვრებმა ქართველმა მწერალმა ნატალია მანდარიამ. ღონისძიებაზე ბელგიის თვითმოქმედმა ფოლკლორულმა გუნდმა ,,მეზობლებმა” ქართული ფოლკლორის ნიმუშები, მათ შორის - „მრავალჟამიერი“ შეასრულა. წიგნში თავმოყრილია ცნობილი ქართველი პოეტების: ლია სტურუას , რუსუდან კაიშაურის, ელა გოჩიაშვილის, მაია სარიშვილის, ირმა შიოლაშვილის, ლელა სამნიაშვილის ლექსები.

ლექსები ნიდერლანდურ ენაზე თარგმნა ინგრიდ დეხრავემ, ფრანგულად - ბაჩანა ჩაბრაძემ. როგორც ცნობილია, საქართველოს მთავრობის მხარდაჭერითა და „ევროპალია-საქართველოს“ ეგიდით, მიმდინარე წლის 4 ოქტომბრიდან 2024 წლის თებერვლის ჩათვლით, ბელგიასა და მის მოსაზღვრე ქვეყნებში 60-მდე მასშტაბური და მრავალფეროვანი ღონისძიება იმართება. ევროპის საზოგადოებას ოთხი თვის განმავლობაში შეუძლია ნახოს ეროვნული საგანძურის ორი მასშტაბური და ისტორიული მნიშვნელობის გამოფენა - „ავანგარდი საქართველოში - 1900-1936“ (ბრიუსელის ნატიფი ხელოვნების ცენტრ „ბოზარში“) და „საქართველო - შეხვედრებისადგილი“ (ბრიუსელის ისტორიისა და ხელოვნების სამეფო მუზეუმში).

ირმა შიოლაშვილი, პოეტი: „ჩემთვის, როგორც ქართველი ავტორისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია ამ ფესტივალზე მონაწილეობის მიღება. ფესტივალი ,,ევროპალია-საქართველო“, რამდენიმე თვეა, მიმდინარეობს ბელგიაში. ძალიან მნიშვნელოვანია ეს ფესტივალი ჩვენი ქვეყნისთვის მაშინ, როცა საქართველო ევროინტეგრაციის გზას ადგას და სასიხარულოა, რომ საქართველო ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდება ევროპულ ოჯახს. სულ უფრო მეტად გვისმენენ და ცდილობენ გაგვიგონ, გაუგონ ქართულ სულს, ქართულ პოეზიას, ქართულ კულტურას.

ძალიან გულთბილად და გულღიად დაგვხვდნენ ბელგიელი მასპინძლები. საოცრად კარგი საღამო იყო და დიდი მადლობა ყველას, ვინც ეს კულტურული ხიდი გადო ორ ქვეყანას შორის.“

ქეთევან დუმბაძე, მწერალთა სახლის დირექტორი: „ეს იყო საოცარი და ამაღელვებელი საღამო, რადგან სცენიდან ისმოდა სამი არაჩვეულებრივი ქართველი პოეტის სიტყვა. თუ ლიტერატურა არის ერის სულიერი თავგადასავალი, ჩვენ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ამ თავგადასავლის ერთ-ერთი ძალიან საინტერესო მონაკვეთია ევროპალიაზე საქართველოს მონაწილეობა. დღეს მე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ლიტერატურას არავითარი საზღვრები არ გააჩნია და მას ძალიან დიდი საქმეების კეთება შეუძლია“.

„ევროპალია-საქართველოს“ ფარგლებში გამართულ ღონისძიებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურის საერთაშორისო საზოგადოებისთვის წარდგენისა და ევროინტეგრაციის ხელშეწყობისთვის.

საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა გახდა

(პირველი გვერდიდან)

ვიქტორ ორბანმა, მაშინ, როცა ისტორიული გადაწყვეტილება 27-ივე ქვეყანას უნდა მიეღო, დარბაზი დატოვა და გადაწყვეტილებისა და პასუხისმგებლობის სიმძიმეც 26 ქვეყანას შეატოვა.

სამიტის ნინ, ევროპის კავშირისადმი გაკეთებულ მიმართვაში, უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ მოკავშირეებს კიევის გვერდში დგომა კიდევ ერთხელ სთხოვა. „დღეს ერთ რამეს გთხოვთ, ნუ უღალატებთ ხალხს და მათ ევროპისადმი რწმენას“ – უთხრა ვიდეომიმართვაში უკრაინის ლიდერმა ევროკავშირის ლიდერებს.

ევროკომისიამ 8 ნოემბერს გასცა რეკომენდაცია, საქართველოს მინიჭებოდა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი. თუმცა ევროკომისიამ ეს გადაწყვეტილება მიიღო დათქმებით, რომ ქვეყანა ცხრა მიმართულებით გადადგამს ნაბიჯებს. საქართველოსთვის განსაზღვრული ცხრა პირობიდან ნაწილი აგრძელებს 2022 წლის ივნისში ევროკომისიის მიერ გაცემულ 12 რეკომენდაციას, ზოგიერთი კი სრულიად ახალია.

ახალია დათქმა ევროკავშირისა და მისი ღირებულებების შესახებ დეზინფორმაციასთან და უცხოურ საინფორმაციო მანიპულაციებთან ბრძოლაზე. ევროკომისია ასევე ყურადღებას ამახვილებს საჭიროებაზე, რომ საქართველომ თავისი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა ევროკავშირისას დაუახლოოს.

***

„აი საგანი და აი გზაც მისდა მისაღწევად. აი რისთვის უნდა მომზადდეს ჩვენი ყმაწვილკაცობა, მთელის ევროპის მეცნიერებით და გამოცდილების ფარხმლით შეჭურვილი, აი რა მოედანი უნდა შემოიხაზოს თავისის მოქმედებისათვის და რა გზა უნდა ამოირჩიოს. ამისათვის სამყოფი არ არის, კაცმა დაისწავლოს პარიზის ყავახანაში მოარული ფრაზები და იმითი თავი მოიტანოს. ყმაწვილ-კაცობა უნდა მომზადდეს ბეჯითის და ზედმიწევნილ ცოდნითა, უნდა, რამდენადაც შესაძლოა, ძირეულად შეისწავლოს ევროპიული მეცნიერება, წინ გაიმძღვაროს ევროპის გამოცდილება, და ამ თოფ-იარაღით შეუდგეს ჩვენი ქვეყნის საქმეს. უამისოდ, იმ მოედანზედ, რომელიც ჩვენ ზემოთ ვიგულისხმეთ, კაცი ერთ ნაბიჯსაც რიგიანად და სამკვიდროდ ვერ წასდგამს, და იმ საგანს და გზას, რომელიც ჩვენ აღვნიშნეთ, ვერაფერს საბოლოოდ ვერ დააჩნევს. ჩვენის მხრით, ამაზედ უკეთესს საგანს, ამაზედ უკეთესს გზას, უკვე სხვაგან გამოცდილს და გამოყენებულს, სხვას ვერას ვუჩვენებთ ჩვენს საიმედო ყმაწვილ-კაცობას”

(„შინაური მიმოხილვა“ 1881 წ., 27 აპრილს)

ამას ილია ჭავჭავაძე ჯერ კიდევ მაშინ წერდა, როდესაც საქართველოს ევროპული პერსპექტივა კარგ სიზმარშიც კი არ დაესიზმრებოდა.

გილოცავთ!. საქართველომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიიღო!

სტატუსი, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ხვალ ან ზეგ ევროკავშირის წევრები გავხდებით. მანამდე გრძელი გზაა გასავლელი. გასატარებელია როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური რეფორმები. ევროპა მარტო მაღალი ხელფას-პენსიები და კომფორტული ცხოვრება არ არის. ევროპა არის სამართლიანი სასამართლო, ადამიანის უფლებების ზედმიწევნით დაცვა, სიტყვის თავისუფლება (ოღონდ ისეთი, რომ ამ სიტყვის თავისუფლებამ არ უნდა შელახოს სხვისი ღირსება), სოციალური გარანტიები, საუკეთესო განათლება, მაღალი ტექნოლოგიები და ა.შ. - ანუ, პირველ რიგში, ჩვენთვის არის კარგი, რომ ყველაფერ ამას მივაღწიოთ. თუ ევროპისკენ სწრაფი ნაბიჯებით ვიარეთ და, ბოლოს და ბოლოს, გავხდით ევროკავშირის წევრი, საქართველო თავისი გეოსტრატეგიული მდებარეობით, ხალხით, ისტორიით, ბუნებით თუ ინტელექტუალური შესაძლებლობებით ევროპის მარგალიტი გახდება. თუმცა იქამდე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გრძელი გზაა...

ქვიშა–ხრეშის მოპოვებაზე გადასახადი გაორმაგდა, რაც ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლებს გაზრდის

პარლამენტმა მხარი დაუჭირა ქვიშა-ხრეშის მოპოვებაზე დაწესებული მოსაკრებელის გაზრდის საკითხს. ცვლილებები ძალაში 2024 წლის 2 იანვრიდან შევა. გაზეთ “შირაქის” ინფორმაციით, გადასახადი გაორმაგდა. როგორც დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი დავით სონღულაშვილი ამბობს, წიაღისეულის მოპოვებით შემოსული თანხები რაიონულ ბიუჯეტში მიემართება, ამდენად, ცვლილება ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლებს გაზრდის, რაც მუნიციპალიტეტის ცხოვრებაზე დადებითად აისახება.

პირველი მოსმენა 13 დეკემბრის პლენარულ სხდომაზე გაიმართა. დაჩქარებული წესით განხილვისთვის მოთხოვნილი „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონპროექტი, პარლამენტმა პირველი მოსმენით, 78 ხმით მიიღო.

პლენარულ სხდომაზე გატანამდე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტმა „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე იმსჯელა. საკითხი კომიტეტს დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ დავით სონღულაშვილმა წარუდგინა.

ცვლილების შედეგად, კირქვის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი აქამდე არსებული 14 თეთრის ნაცვლად, 28 თეთრით განისაზღვრება. კანონპროექტს პარლამენტი დაჩქარებული წესით განიხილავს.

მომხსენებლის დავით სონღულაშვილის განმარტებით, მოსაკრებლის გაზრდის შედეგად მუნიციპალიტეტების მიერ აღნიშნული მოსაკრებლებიდან მიღებული შემოსავლები დაახლოებით 2-ჯერ გაიზრდება 2022 წელს მიღებულ შემოსავალთან შედარებით. მისივე თქმით, სამშენებლო და ინფრასტრუქტურული სექტორების მზარდი ტენდენციებიდან გამომდინარე აღნიშნული ფისკალური ეფექტი შესაძლოა უფრო დიდიც იყოს. კომიტეტმა წარმოდგენილ ცვლილებას მხარი დაუჭირა.

დავით სონღულაშვილი: „კირქვა ერთ-ერთი აქტიურად გამოყენებადი ბუნებრივი რესურსია. მისი მოპოვების სექტორი საქართველოში მზარდი ტენდენციით ხასიათდება. კირქვის მოსაკრებელი რამდენიმე მუნიციპალიტეტისთვის საკმაოდ დიდი შემოსავლის წყაროა. ვფიქრობ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია რესურსის მოპოვების შედეგად გაიზარდოს იმ მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი, სადაც კირქვას მოიპოვებენ. ვინაიდან წიაღისეულის მოსაკრებელი მიემართება ადგილობრივ ბიუჯეტს, ეს გააძლიერებს მუნიციპალიტეტების ინსტიტუტს. ქვიშა-ხრეშის საბადოები ძირითადად გარდაბანში, დედოფლისწყაროსა და ბოლნისში მდებარეობს და ცვლილება ამ მუნიციპალიტეტებზე აისახება“.

მომხსენებლის გამოსვლის შემდეგ სხდომათა დარბაზში ამ საკითხის ირგვლივ დეპუტატებმა კითხვები დასვეს:

„2022 წელს 1 მლნ 700 ათასი ლარი იყო მობილიზებული მთლიანად ამ წიაღისეულის მოსაკრებელი. როგორც ჩანს ახლა გაორმაგდება ეს თანხა.“ — ამბობს დეპუტატი ბექა ლილუაშვილი.

ქვიშა-ხრეშის მოპოვებითი სამუშაოები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტისთვის გარდა წიაღისეულის მოსაკრებლისა, ადგილობრივთა დასაქმების მნიშვნელოვანი წყაროცაა.

ილია მარტყოფლიშვილი

სკოლებმა ავტორიზაცია გაიარეს

ქალაქ დედოფლისწყაროს №2 და სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლებმა ავტორიზაცია წარმატებით გაიარეს. მანამდე კი ეს სტატუსი ყველაზე ადრე გამარჯვების საჯარო სკოლამ მოიპოვა, რადგან პროცესი თავდაპირველად სწორედ ამ სკოლიდან დაიწყო. ავტორიზაცია სკოლებს 6 წლიანი ვადით ენიჭება და სამინისტროს ცნობით, 2026—27 სასწავლო წლის დაწყებამდე ყველა საჯარო სკოლამ ამ გზით უნდა მოიპოვოს საქმიანობის გაგრძელების უფლება. სკოლებმა კიდევ ერთხელ უნდა დაამტკიცონ, რომ მათთან სწავლისთვის შესაბამისი პირობები და ადამიანური რესურსი არსებობს. ფასდება როგორც ინფრასტრუქტურა, ისე პედაგოგთა კვალიფიკაცია.

დედოფლისწყაროს სამ საჯარო სკოლაში, სადაც ავტორიზაციის პროცესი მიმდინარეობდა, წლევანდელი საზაფხულო არდადეგების პერიოდიც დატვირთული იყო. სკოლების დირექცია, კათედრები და პედაგოგები რეკომენდაციების შესასრულებლად ყველაფერს აკეთებდნენ. რა პროცესი გაიარა თითოეულმა სკოლამ და როგორია დადებითი შედეგით მიღებული ემოცია, ამის გასარკვევად გაზეთი „შირაქი“ ავტორიზებული სკოლების წარმომადგენლებს გაესაუბრა. მათი თქმით, საკმაოდ შრომატევადი პერიოდი გაიარეს.

ლალი იაკობიშვილი ***(ქ. დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლის დირექტორი):*** „სკოლის ავტორიზაცია გულისხმობს ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმს, საქართველოს საჯარო სკოლებისთვის ეს ახალი გზაა საგანმანათლებლო სივრცეში ადგილის დამკვიდრებისათვის. რაც მთავარია, ეს არ არის ერთჯერადი პროცესი, არამედ მუშაობის ახალი წესის დამკვიდრება ავტორიზებული სკოლისთვის. რამდენიმე ეტაპი გავიარეთ ავტორიზაციის სტატუსის მოპოვებისთვის. თავდაპირველად შევავსეთ თვითშეფასების კითხვარი, რომლის საფუძველზეც მოვხვდით ავტორიზაციაგასავლელი სკოლების სიაში. ამ ეტაპზე სკოლაში შეიქმნა რამდენიმე ახალი დოკუმენტი, სკოლის შვიდწლიანმა სტრატეგიულმა გეგმამ, მისიამ და ხედვამ გაიარა რევიზია იმისთვის, რომ შესაბამისობაში მოსულიყო ავტორიზაციის ახალ სტანდარტთან. მომდევნო ეტაპზე მხარდამჭერთა ჯგუფი შემოვიდა სკოლაში, რომელიც მოგვეხმარა ხარვეზის აღმოჩენაში რომელიც წარმატებით დავძლიეთ. შედეგად სკოლა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგა ავტორიზაციის სტანდარტთან სრული შესაბამისობით. მინდა ვთქვა, რომ ეს საპასუხისმგებლო პროცესი გაიარა არა მხოლოდ დირექტორმა, ან მასწავლებელმა, ან მოსწავლემ, არამედ სკოლამ, როგორც ერთიანმა მექანიზმმა. ეს გუნდი, დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლის სასკოლო საზოგადოება, იღებს პასუხისმგებლობას, რომ სკოლა მომდევნო ექვსი წლის მანძილზე უპასუხებს ავტორიზაციის ახალი სტანდარტის ყველა მოთხოვნას, რაც აისახება მოსწავლეთა მიღწევებზე“.

ქ. დედოფლისწყაროს №2 სკოლა

ლელა დარჯული ***(ქვემო ქედის სკოლის დირექტორი):*** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის თანმდევი და განუყოფელია. როგორც ვიცი, ყველა კერძო სკოლა ავტორიზებულია და საჯარო სკოლებიც ეტაპობრივად ახორციელებენ იმ ოთხი სტანდარტის შესაბამის მოთხოვნებს, რომელთაც ნანატრი სტატუსის მიღებამდე მივყავართ.

ჯერ კიდევ 2022 წლის გაზაფხულზე ყველა სკოლამ მივიღეთ თვითშეფასების კითხვარი. საკმაოდ მოცულობითი და შრომატევადი იყო ოთხი სტანდარტის დეტალების გაცნობა-გააზრება და კომპეტენტური უკუკავშირი. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ მაცნობეს, რომ ქვემო ქედის საჯარო სკოლა სხვებთან ერთად ჩართული იყო ავტორიზაციის დაწყების პროცესში. სიმართლე გითხრათ, იმ ეტაპზე ჩვენი სკოლის მზაობა არასათანადოდ მიმაჩნდა. მაშინ სკოლის მწირი ინფრასტრუქტურით, ახალი სკოლის მოდელის გაუცხოებით და სხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებით, ავტორიზაციის მოპოვება შორეულ ოცნებად მესახებოდა. ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ, მთელი სკოლის პედკოლექტივი, წარმოუდგენელი ენთუზიაზმით შევუდექით ურთულეს საქმეს. განათლების სამინისტროს, მასწავლებელთა სახლის და ხარისხის მართვის ცენტრის დახმარებით მთელი ზაფხულის განმავლობაში ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, ონლაინ ტრენინგები გავიარეთ. შევიმუშავეთ პირველი სტანდარტით გათვალისწინებული სკოლის ფილოსოფია: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული გეგმა და ა.შ. მასწავლებლებმა მაქსიმალური მონდომებით იმუშავეს საგნობრივ კურიკულუმებზე, რაც ძალზე შრომატევადი აღმოჩნდა, რადგან ამ მიმართულებით არავითარი გამოცდილება არ გვქონდა. ვითარებას ისიც ართულებდა, რომ სტანდარტების შესაბამისი დოკუმენტები საკმაოდ მოცულობითი იყო და თანაც უკუკავშირის ვადები – მკაცრად რეგლამენტირებული. ასე იყო, თუ ისე, 16-17 ოქტომბერს სკოლაში გვესტუმრა ექსპერტთა ჯგუფი (ქალბატონი ირმა ხმელიძის ხელმძღვანელობით) და დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი მაკა ჯანაშვილი. ისინი ორი დღის განმავლობაში ადგილზე სწავლობდნენ ჩვენი სასკოლო ცხოვრების ყოველ დეტალს. მათ შეკრიბეს ვიდეო, აუდიო თუ სხვა საჭირო მატერიალური რესურსი. გარკვეული პერიოდის შემდეგ მივიღეთ დასკვნა, სადაც მითითებული გვქონდა ხარვეზები და რჩევები. ხარვეზების დიდი წილი ინფრასტრუქტურასა და სახანძრო უსაფრთხოებას ეხებოდა. ზოგიერთი მათგანი უკვე გამოვასწორეთ. ის, რაც ჩვენს შესაძლებლობებს აღემატება, დროში გავწერეთ და ეტაპობრივად უნდა განვახორციელოთ. ამჯერად კი მოპოვებულმა სტატუსმა ჩვენი სკოლის სასკოლო საზოგადოებას თავდაჯერებულობა, მაღალი მოტივაცია და წინსვლაზე ორიენტაცია განუმტკიცა. ჩვენი სკოლის ავტორიზაციის სტატუსი უდაო დასტურია იმისა, რომ ამ ქვეყანად შეუძლებელი არაფერია, თუკი ერთობა, გუნდურობა, თანადგომა და კეთილი ნებაც იქნება. თავად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენი პედაგოგიური კოლექტივის წარმატების საიდუმლო სწორედ თანადგომასა და ერთობაშია. მადლობას ვუხდი გაზეთ „შირაქის“ რედაქციას, რომ მომეცა შესაძლებლობა, ჩვენი სიხარულის გაზიარებისთვის ყველას მადლობა გადავუხადო.

ქვემო ქედის სკოლა

მჯერა, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტის ავტორიზებული სკოლების რიცხვი სულ მალე მაქსიმუმს მიაღწევს და ამ კედლებში აღზრდილი ახალგაზრდები ღირსეულ სიტყვას იტყვიან ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში“.

მაკა ჯანაშვილი ***დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი:*** „ამით ავტორიზაციის მიმდინარე პროცესის ერთი ეტაპი დასრულდა, ყველა სკოლამ წარმატებით მიიღო ეს სტატუსი. სკოლები თავად ირჩევენ, როდის დაიწყებენ ავტორიზაციის პროცესს, ჯერ უცნობია კიდევ რომელი სკოლები დაიწყებენ მზადებას, თუმცა ეტაპობრივად, ყველას მოუწევს. პროცესი შემდეგი სემესტრიდან კიდევ დაიწყება. ქვემო ქედის სკოლაც საკუთარი სურვილით ჩაერთო და წარმატებით გაიარა. კმაყოფილი ვარ პროცესით, უნდა ითქვას, რომ ყველა სკოლამ მართლა თავდაუზოგავად იშრომა, ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რომ ავტორიზაცია გაევლოთ და მოთხოვნები დაეკმაყოფილებინათ. ყველა სკოლაში ექსპერტთა სხვადასხვა ჯგუფი იყო ჩამოსული და თითოეული მათგანი კმაყოფილი წავიდა აქედან. კარგი დასკვნები დადეს. სარეკომენდაციო შენიშვნებიც დადებითი ხასიათის იყო და მოხდა ყველა მათგანის გათვალისწინება. სამივე ავტორიზებულ სკოლაზე კარგი შეფასება დაიდო და მიჭირს რომელიმე მათგანი გამოვარჩიო. ვერცერთზე ვერ ვიტყვი, რომ გაუჭირდათ და რთულად დაძლიეს. ვნახოთ, რა იქნება დანარჩენი სკოლების შემთხვევაში.“

ილია მარტყოფლიშვილი

„არა ბულინგს!“

სსიპ ქ. დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლის მე-6 კლასის დამრიგებელმა ნათია პოპიაშვილმა ჩაატარა კლასის საათი თემაზე „არა ბულინგს!” მოწვეული ჰყავდა მოსწავლეთა მშობლებიც, რომლებიც აქტიურად ისმენდნენ ამ თემასთან დაკავშირებულ საკითხებს და მონაწილეობდნენ სხვადასხვა აქტივობებშიც.

ნათია პოპიაშვილი ***(პედაგოგი):*** „ბავშვებმა ძალიან იაქტიურეს, კმაყოფილი ვარ. სხვადასხვა აქტივობები გვქონდა, ვიდეოფილმები მოვიძიე, ერთად ვუყურეთ, ბავშვებმა ანალიზი გააკეთეს, სიმულაციური სცენები გაითამაშეს, დასკვნები გამოიტანეს და კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ, რომ ტოლერანტულები უნდა იყვნენ. ეს კლასი ისეთ ასაკშია, ვფიქრობ ,მათთვის აქტუალურია ეს საკითხი. მათ თანატოლებში თითქოს გახშირდა ზედმეტსახელების დაძახება, წამორტყმა და არასასიამოვნო ჟესტები. მინდოდა მშობლებიც დასწრებოდნენ და საკუთარი თვალით ენახათ ეს ყველაფერი. სამწუხაროდ, ზოგჯერ მშობლებიც ვერ იაზრებენ, რა არის სასკოლო ბულინგი და შენიშვნების გააზრება უჭირთ. ამ შეხვედრით კი მათაც ნათლად დაინახეს პრობლემა და ყველა ერთად დავაფიქრეთ მათი აღმოფხვრის გზებზე. მშობლების ნაწილს უჭირს მასწავლებელთან კომუნიკაციაც, ასე რომ საჭიროა მშობლებთან მუშაობაც. ზოგადად, ასეთი აქტივობები ხშირად გვაქვს, წლის დასაწყისში გეგმის მიხედვით ვატარებთ და ვცდილობთ, აქტუალური საკითხები შევარჩიოთ“.

ამას გარდა, 2023 წლის 11 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ საბავშვო უნივერსიტეტი) მიერ გამოცხადებულ კონკურსში „მოსწავლეები ადამიანის უფლებათა დაცვის დღესთან დაკავშირებით” – (კონფერენცია) კონკურსის შედეგებით წარმატებას მიაღწიეს მე-8 კლასის მოსწავლეებმა ლუკა ნაროზაულმა და ელისაბედ გიგაურმა (მოქალაქეობის მასწავლებელი: ნონა ტოკლიკიშვილი), მათ გადაეცათ სერტიფიკატები და სამახსოვრო საჩუქრები, ასევე 10,11 და 12 იანვარს სრულიად უფასოდ მიიღენ მონაწილეობას ზამთრის მოსწავლეთა ბანაკში.

ილია მარტყოფლიშვილი

ასტროლოგების პროგნოზით, 2024 წელი ზოდიაქოს ყველა ნიშნისთვის მეტ-ნაკლებად მშვიდი და სტაბილური იქნება. მართალია, დრაკონს ძალიან არ უყვარს ფაციფუცი, არავის აპატიებს სულსწრაფობას და მოუთმენლობას, მაგრამ არც ზედმეტად გაზარმაცებას და უსაქმურობას მოიწონებს, რადგან მხოლოდ მათ უნყალობებს, ვინც სირთულეებს არ შეუშინდება და ყველა საქმეს გულდასმით შეასრულებს. მნიშვნელოვანი ცვლილებები ელით ზოდიაქოს ნიშნებს პირად ცხოვრებაში, თუმცა, ზოგისთვის 2024 წელი იღბლიანი, ზოგისთვის პირიქით ნაკლებად სანუგეშო იქნება, ზოგი მეტ სიცხადეს შეიტანს ურთიერთობაში, ზოგს პარტნიორთან მოუწევს დაშორება, ზოგს კი, განსაკუთრებით გაუმართლებს და სწორედ დრაკონის დახმარებით გაიცნობს ადამიანს, რომელიც რადიკალურად შეცვლის მთელ მის ცხოვრებას.

ვერძი კარიერა – დრაკონი უამრავ გამოწვევას უმზადებს ვერძს, მაგრამ 2024 წელს მისცემს მასშტაბური ცვლილებების განხორციელების, დაწინაურებისა და „საკუთარი ადგილის“ პოვნის საშუალებას. მთავარია, არ შეუშინდეთ სიახლეს, თამამად მოკიდოთ ხელი ახალ პროექტებს და დარწმუნებული იყავით, რომ ყველაფერი გამოგივათ, მოზღვავებული ენერგიისა და ენთუზიაზმის ფონზე ვერავინ გაბედავს თქვენთვის ხელის შეშლას.

პირადი ცხოვრება – დაქორწინებულ ვერძებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ, რადგან 2024 წელი კონფლიქტებისა და უსიამოვნებების გარეშე ჩაივლის. მეტიც, ახლა შეძლებთ წვრილმანი უთანხმოების მოგვარებას და ოჯახური იდილიის შექმნას, მარტოხელა ვერძებმა კი, განსაკუთრებით თებერვალსა და ივლისში უნდა გაამახვილონ ყურადღება, რათა ხელიდან არ გაუშვან მოულოდნელი შეხვედრა იმ ადამიანთან, ვინც დიდ ხნით უერთგულებს და ყველაზე საიმედო პარტნიორი გახდება.

ფინანსები – სტაბილური იქნება წელი ფინანსური თვალსაზრისითაც. არაა გამორიცხული მიიღოთ სარფიანი შეთავაზება ან წამოიწყოთ საკუთარი საქმე, რომელიც მნიშვნელოვნად გაზრდის თქვენს შემოსავალს, მთავარია, არ გაჯიუტდეთ და არ თქვათ უარი ერთი შეხედვით რთულ და შრომატევად პროექტებზე.

კურო კარიერა – 2024 წელი კუროს ნიშნისთვის ახალი პროექტებით, მრავალრიცხოვანი შეხვედრებითა და საქმიანი მოლაპარაკებებით იქნება დატვირთული, მაგრამ ვერც სირთულეებისგან შეძლებენ თავის დაღწევას, რისი მიზეზიც მათივე სიჯიუტე და პედანტიზმი გახდება. ნუ შეუშინდებით პრობლემებს! გამოიჩინეთ გონიერება, ობიექტურად შეაფასეთ მოვლენები და საკუთარი შესაძლებლობები, თამამად შეეჭიდეთ მასშტაბურ პროექტებს და შედეგი ყველა მოლოდინს გადააჭარბებს.

პირადი ცხოვრება – ნაკლებად სტაბილური და მეტად ემოციური იქნება კუროს პირადი ცხოვრებაც. ის, ვინც „აქტიურ ძიებაშია“ წლის დასაწყისშივე გაიცნობს საინტერესო ადამიანს, ვისთანაც სიამოვნებით გაატარებს დროს, მაგრამ გაზაფხულზე დაღლილობასთან ერთად გაღიზიანებასაც იგრძნობს, ერთ დროს საინტერესო ადამიანი კი, უინტერესოდ მოეჩვენება და სინანულის გარეშე დაემშვიდობება. პრობლემები ელით დაქორწინებულ კუროებსაც, რომელთაც მეუღლესთან მუდმივი კამათი დაუკარგავს სიმშვიდეს, თუმცა თანდაყოლილი სიბრძნისა და გამოცდილების წყალობით მაინც შეძლებენ სერიოზული კონფლიქტების თავიდან არიდებას.

ფინანსები – 2024 წელი საკმაოდ შემოსავლიანი იქნება, მაგრამ კომფორტისა და ფუფუნების მოყვარული კურო მეტს მოინდომებს, რამაც შესაძლოა სერიოზული ფინანსური კრიზისი გამოიწვიოს. გამოიჩინეთ მეტი სიფრთხილე, რათა სწრაფი შემოსავლის ძიებაში ისიც არ დაკარგოთ, რაც დიდი შრომით მოიპოვეთ.

ტყუპები კარიერა – 2024 წელს განსაკუთრებულ წარმატებას ხელმძღვანელ პოსტზე მყოფი ტყუპები მიაღწევენ, დანარჩენებს კი, კოლეგებსა და იმავე ხელმძღვანელებთან მოუწევთ კომპრომისების მოძიება. ტყუპების ნიშნით დაბადებულები ყველასთან სწრაფად პოულობენ საერთო ენას, მაგრამ მაინც არ ღირს „მთელ სამყაროსთან“ დამეგობრება, რადგან ზოგჯერ მეგობრებმაც იციან დანაპირების მოთხოვნა, რაც ძალიან აღიზიანებთ თავქარიან და ზედაპირულ ტყუპებს, რომელთაც პრიორიტეტები და ადამიანებისადმი დამოკიდებულებაც ისევე ხშირად ეცვლებათ, როგორც გუნება-განწყობა. წლის მეორე ნახევარში მათ გაუმართლებთ, ვისაც პროფესიული განვითარება, სამსახურის შეცვლა ან საკუთარი საქმის დაწყება უნდა, თუმცა, არ ღირს კარდინალური ცვლილებების ლოდინი და იმედის ქონა, რომ ყველაფერი ერთ დღეში და თავისით შეიცვლება.

პირადი ცხოვრება – სერიოზული ცვლილებები ელით ტყუპებს პირად ცხოვრებაშიც, რადგან ბევრს მოუწევს ურთიერთობების დასრულება და პარტნიორთან დამშვიდობება. ზოგი სიხარულით შეხვდება სიახლეს, ზოგი პირიქით, დიდხანს ვერ შეძლებს დანაკლისის ანაზღაურებას. გამოიჩინეთ მეტი მოთმინება პარტნიორთან ურთიერთობისას, არ ღირს გაუთავებლად საკუთარ სურვილებზე საუბარი, უმჯობესია მოუსმინოთ და გაითვალისწინოთ მისი უკმაყოფილება, მხოლოდ ასე შეძლებთ ურთიერთობის შენარჩუნებას. ნაკლებად გაუმართლებთ მარტოხელა ტყუპებს, რადგან ძალიან გაუჭირდებათ შესაფერისი პარტნიორის მოძიება, თუმცა გულს მაინც არ გაიტეხენ და ჩვეული სიმსუბუქით, თავქარიანობით გააბამენ ფლირტს ნებისმიერთან, ვინც ერთი ნახვით მოეწონებათ.

ფინანსები – საკმაოდ შემოსავლიანი იქნება ტყუპებისთვის 2024 წელი, თუმცა მაინც არ ღირს ზედმეტი ხელგაშლილობა და ფულის გაუაზრებლად ხარჯვა, რათა პრობლემები არ შეიქმნათ წლის მეორე ნახევარში. მოერიდეთ საეჭვო ადამიანებს და ავანტიურულ გარიგებებს, მართალია, ყოველთვის შესაშური ენთუზიაზმით პოულობთ უსიამოვნებებს, მაგრამ მომავალ წელს ჯობია თავი შეიკავოთ რისკისა და მსგავსი ექსპერიმენტებისგან.

კირჩხიბი კარიერა – ვერ დაიკვეხნიან ცვლილებებით საქმიან ცხოვრებაში, რადგან ვერც დაწინაურებას შეძლებენ, ვერც თავბრუდამხვევი კარიერის გაკეთებას, თუმცა არც მარცხი და სამსახურიდან დათხოვნა დაემუქრებათ. დრაკონის წელი კირჩხიბისთვის უფრო ფუნდამენტის შენების წელი იქნება, როცა სამომავლო გეგმების დასახვასთან ერთად მოსამზადებელ სამუშაოებსაც ჩაატარებს შემდგომი განვითარებისთვის.

პირადი ცხოვრება – დაწყვილებულებს მეტი ყურადღება მართებთ მეუღლეების მიმართ, სტაბილური საქმიანი ცხოვრებისგან განსხვავებით, ბევრად შფოთიანი და პრობლემური იქნება პირადი. არაა გამორიცხული ხანგრძლივი ქორწინებაც დაშორებით დასრულდეს. იშვიათი გამართლება ელით მარტოხელებს, რომლებიც სწორედ მომავალ წელს, სავარაუდოდ, ივლისსა ან აგვისტოში შეხვდებიან „იმ ერთადერთსა და განუმეორებელს“, რომელსაც მთელი ცხოვრება ელოდნენ. მთავარია სახლში, საკუთარ ნაჭუჭში არ გამოიკეტოთ და არ თქვათ უარი მეგობრების მიწვევაზე, რადგან იღბალი მხოლოდ ყველაზე თამამებს უღიმის.

ფინანსები – 2024 წელს, როცა არც კარიერული ზრდაა მოსალოდნელი, არც სარფიანი შეთავაზებები, კირჩხიბმა დაზოგვა და უკვე არსებულით დაკმაყოფილება უნდა ისწავლოს. რა თქმა უნდა, არ ღირს ზედმეტი ხელგაშლილობა, თუმცა, არც მომჭირნეობა გამოგადგებათ, რადგან ასე მხოლოდ მათ გაანაწყენებთ, ვინც დიდი ხანია თქვენს მატერიალურ დახმარებაზეა დამოკიდებული.

ლომი კარიერა – 2024 წელი განვითარებისა და კეთილდღეობის მომტანი იქნება. მართალია, დიდხანს მოუწიათ ლოდინი, მაგრამ 2024 წელს ერთიანად აუნაზღაურდებათ მოთმინება. დევიზით „ან ახლა ან არასდროს“ ლომი ნებისმიერი სირთულის საქმეს შეეჭიდება და ყველა წამოწყებაში წარმატებული იქნება. თუმცა, არ ღირს შესაძლებლობების გადაფასება, თავმომწონეობა და საკუთარი მიღწევებით ტრაბახი, რადგან ასე მხოლოდ კოლეგებს გააღიზიანებთ.

პირადი ცხოვრება – დაწყვილებულებს მეტი მოკრძალების გამოჩენა და ამბიციებზე უარის თქმა მოუწევთ. ნაკლები იფიქრეთ საკუთარ თავზე და იზრუნეთ საყვარელ ადამიანზე, გაანებივრეთ სასიამოვნო სიურპრიზებით, მხოლოდ ასე შეძლებთ პარტნიორის შენარჩუნებას, რომელსაც სხვისკენ უჭირავს თვალი. არ დატოვებს უყურადღებოდ დრაკონი არც მარტოხელა ლომებს, რომელთაც რომანტიკულ თავგადასავლებს და სამსახურებრივ რომანებს შესთავაზებს, რაც ორმაგად სასარგებლო იქნება. ისედაც დაკავებულებს არც ზედმეტი დროის დახარჯვა მოუწევთ და პაემნისთვის ადგილის ძებნა.

ფინანსები – 2024 წელი განსაკუთრებით შემოსავლიანი იქნება, რადგან ამოსუნთქვის გარეშე მოუწევს მუშაობა, თუმცა, დრაკონი არა მხოლოდ შრომას დაუფასებს, არამედ, სასიამოვნო სიურპრიზსაც მოუწყობს და ან ლატარიაში მოაგებინებს, ან უცნობი ნათესავის მემკვიდრეობას უსახსოვრებს. პატივისცემით მიიღეთ და გაუფრთხილდით საჩუქრებს, არ ღირს ზედმეტი ხელგაშლილობა და ყველაფრის ერთ დღეში განიავება.

ქალწული კარიერა – განსაკუთრებით პერსპექტიული ქალწულის ნიშნით დაბადებულთათვის წლის პირველი ნახევარი იქნება, როცა მათ პუნქტუალურობას, მონდომებას და პასუხისმგებლობას კოლეგებთან ერთად ხელმძღვანელებიც დააფასებენ, თუმცა ბევრად რთული აღმოჩნდა წლის ბოლო, როცა საქმიანი პარტნიორები ძველ შეთანხმებებს გაუქმებენ და ახალ, ნაკლებად მისაღებ პირობებს შემოგთავაზებენ. არ ღირს ემოციებს აყოლა და გადაწყვეტილების ცხელ გულზე მიღება. უარით გასტუმრებას ყოველთვის მოასწრებთ. საღი გონებით შეაფასეთ ყველა შეთავაზება, ჰკითხეთ რჩევა გამოცდილ ადამიანებს და შემდეგ მიიღეთ საბოლოო გადაწყვეტილება.

პირადი ცხოვრება – 2024 წელს ყველაზე მეტად გაუმართლებთ. არა მხოლოდ წყვილები მოიპოვებენ სიმშვიდესა და ჰარმონიას, მარტოხელებიც შეძლებენ სერიოზული ურთიერთობის გაბმას. არაა გამორიცხული სწორედ მასთან დაწყვილდეთ, ვინც ყოველთვის თქვენს გვერდით იყო, მაგრამ რატომღაც ვერასდროს ამჩნევდით.

ფინანსები – იშვიათი აკურატულობით გამორჩეული ქალწული, რომელიც ფულსაც ყოველთვის სიფრთხილით ხარჯავს, 2024 წელსაც მშვიდად იქნება. არც გრანდიოზული შემოსავალი ექნება, არც განსაკუთრებული ხარჯი, ამიტომ წლის ბოლომდე შეინარჩუნებს სტაბილურობას.

სასწორი კარიერა – 2024 წელს მხოლოდ ნოვატორული აზროვნება დაეხმარება წინსვლასა და კარიერის განვითარებაში. მართალია, ნაკლებად მოგინდებათ მსხვერპლის გაღების და ზედმეტად თავის შეწუხება, მაგრამ დაწინაურების სურვილი შეუძლებელს შეგაძლებინებთ. ნუ გაღიზიანდებით, თუ კოლეგები თქვენს ჭკუის სწავლებას შეეცდებიან, პირიქით მოისმინეთ და გაითვალისწინეთ გამოცდილი ადამიანების რჩევები, რადგან მათ მხოლოდ სიკეთე უნდათ თქვენთვის.

პირადი ცხოვრება – ბევრად გაუმარტივდებათ პირადი ცხოვრების მოწესრიგება, რადგან ისედაც ყველაფერი წესრიგშია. დაქორწინებულები ჩვეულ რიტმში გააგრძელებენ ცხოვრებას, მათ მყუდროებას ვერაფერი დაარღვევს. მარტოხელებს კი, ძველი ურთიერთობის აღდგენის შანსი ექნებათ, თუმცა, არ ღირს წარსულში დაბრუნება თუ დარწმუნებული არ ხართ, რომ შეძლებთ შეცდომების გამოსწორებას.

ფინანსები – მრავალწლიანი მონდომება 2024 წელს გამოიღებს შედეგს, მაგრამ მაინც არ ღირს თავის დაკარგვა და ცხოვრების წესის ერთიანად შეცვლა. მათ, ვისაც საკუთარი ბიზნესი აქვთ, წლის ბოლოს მოუწევთ გაუთვალისწინებელი ხარჯის გაწევა, ის კი, ვინც მაღალანაზღაურებადი სამსახურის იმედზეა, სერიოზული კონკურენტები გამოუჩნდებიან, ასე რომ, მეტი სიფრთხილე და წინდახედულება გამოიჩინეთ კრედიტისა და ფინანსური დოკუმენტების გაფორმებისას.

მორიელი კარიერა – ცხოვრების გადახედვა, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების განსაზღვრა მოუწევთ. არაა გამორიცხული რადიკალურად შეცვალოთ საქმიანობის სფერო და იქ მოსინჯოთ, სადაც მანამდე არაფერი გესაქმებოდათ. არ შეუშინდეთ სირთულეებს, თქვენს მხარეს იქნება წლის მფარველი დრაკონიც, რომელიც სწორედ თამამ და შემოქმედებით ადამიანებს სწყალობს.

პირადი ცხოვრება – ნამდვილი სასწაული მოხდება 2024 წელს, რადგან მორიელი გულწრფელად აღიარებს ყველა ნაკლსა და შეცდომას. თუმცა, სიამაყე არ მისცემს მათი გამოსწორების უფლებას. მარცხით დასრულდება ძველი ურთიერთობის აღდგენის მცდელობაც, ახალი კი, ნაკლებად გაამართლებს, რადგან პარტნიორი აღმოჩნდება ზედმეტად მომთხოვნი.

ფინანსები – მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებთ ფინანსურ წარმატებას, თუ არ დაიზარებთ და შეისწავლით ყველა შეთავაზებას. განსაკუთრებული სიფხიზლის გამოჩენა მართებს მორიელს „შოპინგის“ დროს, ნამდვილად არ ღირს სტრესის ფონზე ყველა მაღაზიის შემორბენა და უსარგებლო ნივთების მხოლოდ ნერვების დასამშვიდებლად შეძენა.

მშვიდლოსანი კარიერა – საუკეთესო პერიოდი წლის დასაწყისია, როცა მოზღვავებული ენერგიის ფონზე დაიჯერებს და სხვასაც დაავჯერებს, რომ მთების გადადგამს. გამოიყენეთ წლის პირველი ნახევარი მაისის თვემდე, განიხილეთ ახალი პროექტები და დასახეთ გეგმები, რადგან ამ პერიოდში იქნებით საუკეთესო ინტელექტუალურ ფორმაში. ნაკლებად გამართლებს ზაფხული, შემოდგომაზე კი, თქვენი პასიურობით გათამამებული კონკურენტები გაიძულებენ ლიდერის პოზიციის დათმობას.

პირადი ცხოვრება – დაწყვილებულებს ოჯახში მატება ელით, მათ, ვინც მარტოა, დროა დაფიქრდეს ოჯახის შექმნაზე, 2024 წელს დრაკონი მყარ ოჯახს და მტკიცე ურთიერთობას წაახალისებს. მეტი დრო დაუთმეთ საყვარელ ადამიანზე ზრუნვას, მარტოხელა მერწყულს კი, რომელიც დაუფიქრებლად გადაეშვება რომანტიკულ თავგადასავლებში, არა მხოლოდ კომპლიმენტების, არამედ ახლად შეძენილი პარტნიორის პრობლემების მოსმენა და მოგვარებაც მოუწევს.

ფინანსები – ოჯახის წევრებსა და მეგობრებზე იქნება დამოკიდებული ფინანსური კეთილდღეობაც, სწორედ მათი სურვილების ასრულებასა და მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე დახარჯავს შემოსავლის დიდ ნაწილს. ნაკლებად სანუგეშო პერსპექტივაა, მაგრამ არ ღირს გაღიზიანება, მით უფრო, რომ იძულებით მაინც ვერ შეძლებთ თავის დაღწევას. შეინარჩუნეთ სიმშვიდე და მორჩილად დააკმაყოფილეთ ახლობელთა მოთხოვნები.

თხის რქა კარიერა – უმეტესობა სხვა ქალაქში ან ქვეყანაში გადაწყვეტს გადაბარგებას, ამიტომ აქტიურად შეუდგება ახალი სამსახურის ძებნას, მაგრამ დრაკონი ნაკლებად მოიწონებს მის გადაწყვეტილებას და მაქსიმალურად შეაფერხებს ყველა წამოწყებას. უმჯობესია მოგზაურობა შემდეგი წლისთვის გადადოთ და ისევ ძველ სამსახურს დაუბრუნდეთ, სადაც მართალია, ნაკლებად გექნებათ განვითარებისა და დაწინაურების შანსი, მაგრამ სტაბილურობას შეინარჩუნებთ.

პირადი ცხოვრება – ნაკლებადაა მოსალოდნელი ცვლილებები, თუმცა, სასიამოვნო სიურპრიზი ელის პარტნიორისგან, რომელიც ხანგრძლივი ურთიერთობის მიუხედავად მაინც შეძლებს მის გაკვირვებას რომანტიული ვახშმის მოწყობით. არ გაუმართლებთ არც მარტოხელა თხის რქებს, რადგან თავბრუდამხვევი რომანების მიუხედავად, მაინც ვერავისთან შეძლებენ სერიოზული ურთიერთობის გაბმას.

ფინანსები – სიფრთხილის გამოჩენა მართებს მთელი წლის განმავლობაში, რადგან ხარჯი უფრო მეტი ექნება, ვიდრე შემოსავალი. არაა გამორიცხული სოლიდური თანხის დახარჯვა მოუხდეს საკუთარი, ან ახლობლების ჯანმრთელობის პრობლემების მოსაგვარებლად, დამატებითი შემოსავლის მოძიების შანსი კი, წლის მეორე ნახევარში ექნება და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პარტნიორების მოძიებას და საკუთარი პროექტებით დაინტერესებას შეძლებს.

მერწყული კარიერა – დრაკონი არა მხოლოდ სერიოზულობის და პასუხისმგებლობის გამოჩენას, არამედ გამოფხიზლებას და აქტიურად მოქმედებასაც აიძულებს, რადგან კომფორტული სტაბილურობა, რომელიც სამსახურში მოიწყვეთ დიდი ხანია სტაგნაციას დაემსგავსა. დროა, გაიღვიძოთ და ხმამაღლა განაცხადოთ საკუთარი შესაძლებლობების შესახებ, შეუდექით მუშაობას თებერვლის თვიდან და არ დაივიწყოთ პერიოდულად დერეფანში გასეირნება, რათა თავი შეახსენოთ კოლეგებსა და ხელმძღვანელებს.

პირადი ცხოვრება – დაწყვილებულებს მეტი ლოიალურობის გამოჩენა მართებთ, დროა ისწავლოთ პატიება და მისცეთ საყვარელ ადამიანს შეცდომების გამოსწორების შანსი, რადგან უშეცდომო არავინაა, მარტოხელებს კი, პარტნიორების მიმართ მოთხოვნების გრძელი სიის შემოკლება მოუწევთ, რადგან არც იდეალური ადამიანები არსებობენ.

ფინანსები – ხელგაშლილობით გამოირჩევა, მაგრამ 2024 წელს ფინანსების დაზოგვა მოუწევს, წლის მეორე ნახევარში სერიოზული კრიზისი დაემუქრება. ბევრი ეცდება ისარგებლოს მისი გულუბრყვილობით და გააბას ავანტიურულ მახეში.

თევზები კარიერა – მეტი მონდომებისა და ენთუზიაზმის გამოჩენა მოუწევთ, რადგან გაზარმაცებულებს, ძალიან გაუჭირდებათ მობილიზაცია და დრაკონის მიერ შეთავაზებული გამოწვევების დაძლევა. ნუ შეუშინდებით სიახლეებს, რადგან ნებისმიერი ცვლილება, მათ შორის ნეგატიურიც - გამოცდილებაა, რომელიც აუცილებლად გამოგადგებათ მომავალში. არ ღირს მნიშვნელოვანი საქმეების გადადება, რადგან წლის ბოლოს ყველა გადადებული პროექტისთვის ერთად მოგთხოვენ პასუხს, ახალი და საინტერესო სამსახურის მოძიების შემთხვევაში კი, სინანულის გარეშე დაემშვიდობეთ ძველს, რადგან სიახლე იმ შემთხვევაშიც სარგებელს მოგიტანთ, თუ ანაზღაურება გექნებათ ნაკლები.

პირადი ცხოვრება – სერიოზული გამოცდა ელით პირადში, რადგან დრაკონი მათ ერთგულებას შეამოწმებს. დაწყვილებულ თევზებს მეტი გულწრფელობის გამოჩენა მართებთ, აღიარეთ შეცდომები და ნუ ეცდებით ყველაფრის პარტნიორისთვის გადაბრალებას, უმიზეზოდ თავდასხმას პასუხიც შესაბამისი მოჰყვება და ისევ თქვენ დაზარალდებით. ბევრად სასიამოვნო წელი ელით მარტოხელა თევზებს, რომლებიც გაზაფხულზე შეხვდებიან იმ ადამიანს, ვისთანაც არა მხოლოდ ზაფხულის არდადეგებს გაატარებენ სიამოვნებით, არამედ გამოზამთრებაც მოუნდებათ.

ფინანსები – მუდმივად იოლი ფულის შოვნასა და გამდიდრებაზე ოცნებობენ, მაგრამ ოცნება წელსაც აუხდენელი დარჩება. დროა, დაემშვიდობოთ ილუზიებს და გამოიჩინოთ მეტი პრაქტიკულობა განსაკუთრებით წლის პირველ ნახევარში, როცა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების საუკეთესო შანსი გექნებათ, ისევ თქვენს მოხერხებულობაზეა დამოკიდებული, შეძლებთ თუ არა პოზიტიური შესაძლებლობების გამოყენებას.

აგრესიული სამყარო და ჩვენ

ცხოვრებაში ერთხელ მაინც გქონიათ ალბათ განცდა, რომ უმიზეზოდ, აგრესიულ ხასიათზე ხართ, მაგრამ არ იცით საიდან მოდის ეს განცდა. უმიზეზოდ არაფერი ხდება, ეს ის დამანგრეველი, დაგროვილი უარყოფითი ენერგიაა, რომელმაც შეიძლება ფატალურ შედეგამდე მიიყვანოს პიროვნება, ან მის ირგვლივ მყოფი ადამიანები.

რას ვგულისხმობთ, როდესაც ვამბობთ: „აგრესიული ქცევა"? „აგრესიის გამოვლენა"? "აგრესიული ადამიანი"? როგორი ქმედება მიიჩნევა აგრესიულად და სად გადის ზღვარი აგრესიასა და ქცევის გამართლებულ მოდელს შორის?

აგრესია ლათინური სიტყვაა და თავდასხმას ნიშნავს. ფსიქოლოგიაში ტერმინი "აგრესია" განიმარტება როგორც სხვისთვის ზიანის მიყენებისკენ განზრახ მიმართული ქცევა. სპეციალისტები ერთმანეთისგან განასხვავებენ ბრაზის ემოციას და აგრესიას. ადამიანი შესაძლოა გაბრაზდეს, მაგრამ ამ ემოციის შესაბამისად არ მოიქცეს. როგორც იტყვიან, "ემოციას არ აჰყვეს", და პირიქით — შესაძლოა, სულაც არ ბრაზობდეს, მაგრამ სხვას მაინც მიაყენოს ზიანი. აგრესიული ქცევისა და ბრაზის ემოციის გასამიჯნავად გადამწყვეტი ფაქტორია წინასწარ განზრახვის ცნება. თუ ადამიანმა ვინმეს წინასწარი განზრახვის გარეშე, შემთხვევით, გაუფრთხილებლობით, უნებურად მიაყენა ზიანი ტკივილი, ეს აგრესიად არ განიხილება, ყველა დანარჩენი შემთხვევა კი კვალიფიცირდება როგორც აგრესიული. აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ აგრესიული ქცევა განსხვავდება ქცევისგან, რომელიც საკუთარი სიცოცხლის, ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, უფლების დაცვას ისახავს მიზნად.

გადავხედოთ კაცობრიობის ისტორიას, რაც ამავე დროს ცივილიზაციის განვითარების ისტორიას წარმოადგენს. დავინახავთ, რომ ის მუდმივი ომებისა და წინააღმდეგობების ისტორიას წარმოადგენს, სადაც ადამიანთა ერთი ჯგუფი დაუნდობლად ანადგურებდა ადამიანთა მეორე ჯგუფს. მართალია ომებს შორის იყო მშვიდობიანი ცხოვრების წლები, იქმნებოდა ცივილიზაციის შედევრები. მაგრამ, მიუხედავად ასეთი ბედნიერი წუთებისა, საბოლოოდ, ადამიანები საკმაოდ აგრესიულად გამოიყურებიან. მიუთითებენ, რომ, ცხოველთა სამყაროში ადამიანები —განვითარების უმაღლეს დონეზე მყოფი ცხოველები — განსაკუთრებით გამოირჩევიან თავიანთი აგრესიულობით. თითქმის არც ერთი სახეობა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ასე თანმიმდევრულად არ ხოცავს თავისივე მოდგმის არსებას, როგორც ამას ადამიანი აკეთებს. სწორედ ამიტომ, გასაგებია ის დიდი ინტერესი რომელსაც მეცნიერები აგრესიის ფენომენის მიმართ იჩენენ. განსაკუთრებულია ამ საკითხისადმი სოციალური ფსიქოლოგიის ინტერესი.

არსებობს თეორიები, რომლებიც ძალადობას განიხილავს როგორც ერთგვარ თანდაყოლილ ინსტინქტს, რომელიც ადამიანს, სხვა ცოცხალი ორგანიზმების მსგავსად, წინააღმდეგობათა დაძლევის, თავდაცვისა და თვითგადარჩენის დროს უაქტიურდება.

ძალადობის გამომწვევი ერთ-ერთი ფაქტორია მძიმე სოციალური ვითარება: პრობლემები დასაქმების ბაზარზე, ახალგაზრდების ფინანსური დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხი, ბავშვებისთვის სახლის გარეთ სათამაშო სივრცის ნაკლებობა, საოჯახო საქმეებში ქალის ტრადიციული როლის დომინირება. აგრესია და ძალადობის სიჭარბე თანამედროვე საზოგადოების გამოწვევად იქცა.

ადამიანის ტვინში არის ნერვული უჯრედები, რომლებიც გამოიმუშავებენ ბედნიერების ჰორმონს. არის აგრეთვე ნერვული უჯრედები, რომლებიც გამოიმუშავებენ სტრესის ჰორმონს. ამ ჰორმონების თანაფარდობა ერთი შვიდთანაა. ერთ სტრესის გამომამუშავებელ უჯრედზე შვიდი ბედნიერების გამომამუშავებელი უჯრედი მოდის. ესეიგი ნორმალური ფიზიოლოგიური პროცესების დროს სტრესი არის მასტიმულირებელი იმისა, რომ აქტიურად დაიწყოს ორგანიზმმა ბედნიერების ჰორმონის გამომუშავება. მაგალითად: ადამიანს ძაღლი გამოეკიდა, მას უმალ ჩაერთო რეზერვში არსებული შესაძლებლობები, გადახტა ძალიან მაღალ ღობეს და უხარია, რომ ცოცხალი დარჩა. ეს სიხარული ყოველთვის შვიდჯერ უნდა აღემატებოდეს სტრესს. ამიტომ, რომ არ დაგროვდეს ორგანიზმში დაძაბულობა და აგრესია, ერთ უარყოფით ემოციაზე, აუცილებელია შვიდი დადებითი ემოცია. ამიტომ, თუ სტრესის მერე ადამიანს არ შეუძლია დადებითი ემოციების მოგროვება, ის ცდილობს ეს სიცარიელე შეავსოს დალევით, მოწევით, ნარკოტიკებით და სხვა, რომლებიც რაღაც ეტაპზე კი გამოიწვევს ამაღლებულ განწყობას, მაგრამ არა დიდი ხნით და საბოლოო ჯამში იწყება რეგრესი.

რა უნდა გავაკეთოთ? როგორ უნდა ვიცხოვროთ თანამედროვე აგრესიულ სამყაროში? ალბათ გაგეცინებათ, მაგრამ უნდა ვიცხოვროთ ისე, თითქოც მოვხვდით საგიჟეთში. მაგალითად: როდესაც ნორმალური ადამიანი ხვდება საგიჟეთში, მას გაცნობიერებული აქვს სად არის და რაც არ უნდა უთხრან იქ მყოფმა პაციენტებმა არ სწყინს, ყველაფერს წყნარად და მშვიდად უყურებს. ასევეა ჩვენს აგრესიულ სამყაროში. იმიტომ, რომ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას,რომ მსოფლიო ჭკუიდან იშლება, და როდესაც ადამიანი მიხვდება,რომ მსოფლიო ერთი დიდი საგიჟეთია, მაშინ ყველაფერს იუმორით მიუდგება, მათ შორის საკუთარ თავსაც. მაშინ უფრო ადვილი გახდება ცხოვრება. ფსიქიატრიაში არის ასეთი მცნება „ინდუციური ფსიქოზი", ის, რაც თქვენ ასე ძალიან გაღიზიანებთ, საბოლოოდ თქვენზეც გადმოვა და თქვენც ასეთივე გახდებით. ამიტომ არაფერი მიიტანოთ გულთან ახლოს, იუმორით შეხედეთ ცხოვრებას და გახსოვდეთ, იცხოვრეთ ისე, თითქოს საგიჟეთში ცხოვრობთ.

მოამზადა
ხათუნა ბენაშვილმა

კროსვორდი



შვეულად 1. რომელი ლითონისგან იყო დამზადებული ჯარისკაცები ანდერსენის ზღაპარში 2. სრუტე პა-დე-... 3. ოპერა, რომელიც ჯუზეპე ვერდიმ სუეცის არხის გახსნასთან დაკავშირებით დაწერა 4. რა ნაგებობაა სან-ფრანცისკოში „ოქროს კარიბჭე" 5. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ფულის ერთეული 6. ქედი, რომელზეც გადის ევროპასა და აზიას შორის წარმოსახვითი საზღვარი 7. ზამბახი 10. ყავის ჯიში 11. ხმელეთის ყველაზე სწრაფი ცხოველი 12. ბალახი, რომლისგანაც შაქარს იღებენ 13. თვითნასწავლი მხატვრობა 14. აშშ-ში: კონსტიტუციური აქტი 15. ბოსტნეული, რომელიც მკვახე მდგომარეობაში საჭმელად ვარგისია 16. გიორგი სააკაძის მშობლიური სოფელი 20. ოჯახური კერის მფარველი ქალღმერთი რომაულ მითში 21. ბრინჯაო 22. თვალის თეთრი გარსი 24. ოპტიკური მოვლენა უდაბნოში 25. ინერტული აირი 26. ფარული დაცინვა 28. დასავლეთ საქართველოს მთავარი წყალშემკრები მდინარე 31. ტურ ჰეიერდალის პაპირუსის გემი 32. ალ პაჩინო ფილმში „... ტრეისი" 34. მარკ ტვენი – „... სოიერის თავგადასავალი"

თარაზულად 4. სპილოს წაგრძელებული ცხვირი 8. ამერიკელი ფერმერები რის ბურთულებს მარხავდნენ მიწაში სინოტივის დასადგენად 9. გემი, რომლითაც კაპიტან გრანტს ეძებდნენ 37 პარალელის გასწვრივ 10. ზღვაოსანი, რომელიც წყნარი ოკეანის „ნათლიად" ითვლება 14. ატოლი, რომლის სახელიც ღია საბანაო კოსტიუმს უწოდეს 17. პოლონელი მეცნიერი, ჰელიოცენტრული სისტემის ფუძემდებელი 18. ყვავილი, რომელიც ძველ ეგვიპტეში სიწმინდის სიმბოლოდ აღიქმებოდა 19. ქალაქი კრასნოდარის მხარეში; 23. ალტერ ეგო, ანუ სხვა 24. მომღერალი ... მატიე 27. მუხლის თავის პატარა მრგვალი ძვალი 29. გამოგონება, რომელსაც ერთმანეთს პოპოვი და მარკონი ეცილებოდნენ 30. ჭრილი ბანიანი სახლის ჭერში 33. ჰუნების ბელადი 35. მდინარე, რომელსაც გერმანიის „სანარეცხე ვედროს უწოდებენ 36. სპექტაკლი „კავკასიური ცარცის წრე", მთხრობელი ... ლოლაშვილი 37. „ღვინომ ხე ... გახეთქა და კაცი ვერაო" 38. მდინარე შორეულ აღმოსავლეთში.

ამოხსენი სუდოკუ

				7	9	2		
						4	6	7
7			1	6	2		9	
	6		9	1		7	2	
3	4			8	7	5		9
	9					3		
		6		4		1	7	
8		1	7	2			4	
4	7	3					5	2

6	4			3				7
5		1		7		9		
							1	
		4	9		8		6	
	8				3		2	
			4					
4			1	5	7		3	
2		8	3				4	
7	5						9	6

წარმატება კალათბურთში

მიმდინარე წლის 28 ნოემბერს, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშენში ჩატარდა საკალათბურთო ტურნირი, სადაც დედოფლისწყაროელი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ. როგორც ჩანს წარმატებული აღმოჩნდა მათი ასპარეზობა.

როგორც „შირაქმა" გაარკვია, ეს იყო ადგილობრივი სპორტის პედაგოგის ლენა ზარდიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი კალათბურთში, სადაც სხვადასხვა რაიონის გუნდები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის №1 საჯარო სკოლის გოგონათა გუნდმა დაიკავა პირველი ადგილი და გადაეცა ოქროს მედალი, ხოლო ვაჟთა გუნდმა – მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ტურნირზე, საუკეთესო თამაშისათვის დედოფლისწყაროელ თათია ბოჭორიშვილს პერსონალურად გადასცეს სიგელი.

დალი ბენაშვილი ***(მწვრთნელი)***: „ინსტიტუტში კალათბურთის გუნდში მე და ლენა ზარდიაშვილი ერთად ვთამაშობდით, ამდენად ახალგაზრდობიდან ვმეგობრობდი მასთან. მისი გარდაცვალების შესახებ არც ვიცოდი და რადგან მისი ხსოვნის ტურნირი დაიგეგმა, გურჯაანში ჩვენც მიგვიწვიეს. ქალთა გუნდი დედოფლისწყაროში დიდი ხანია არსებობს. ვაჟებიც კარგები გვყავს, მაგრამ გოგონებმა უფრო გვასახელეს. სპორტული დარბაზი იყო ისეთი, რომ ჭირდა ბურთის ჩაგდება. წესით, ფარის სიმაღლე 3,05 მეტრი უნდა იყოს, იქ კი 3,30 სიმაღლის იყო. ამის მიუხედავად ჩვენმა გოგონებმა მოახერხეს მეტოქეების დამარცხება. როგორც ჩანს გოგონებს უფრო არ გაუჭირდათ. მათ მეტოქეობას ხელბურთელი გოგონები უწევდნენ, მათი გამოცდილება კი განსხვავებულია, ამიტომაც ჩვენებმა აჯობეს. განსაკუთრებით იაქტიურა თათია ბოჭორიშვილმა, ყველა ჩაგდებული ბურთის ავტორი ის იყო, ამიტომაც ჟიურიმ დააჯილდოვა. ის ყველაზე აქტიური და ძლიერია, როგორც კალათბურთში, ისე ფრენბურთშიც. გოგონათა საკმაოდ კარგი ნაკადი გვყავს, კვირაში ორჯერ გვაქვს გაკვეთილი და ოლიმპიადებსა და სხვადასხვა ჩემპიონატებში ხშირად ვმონაწილეობთ. წარმატებებიც გვაქვს ხოლმე."

ილია მარტყოფლიშვილი

დედოფლისწყაროელი ვაჟების ფურორი ჭადრაკში

9-10 დეკემბერს ქ. საგარეჯოში გაიმართა 7 და 9 წლამდე ასაკის გოგონათა და ვაჟთა რეგიონალური ჩემპიონატი ჭადრაკში. 9 წლის ვაჟების ტურნირში პირველი ადგილი (7 ტურიდან - 7 ქულა) დაიკავა 10 წლამდე ასაკის ვაჟებში კახეთის ჩემპიონმა – **მათე მარტყოფლიშვილმა.** 5,5 ქულით მეორე ადგილზე გავიდა ჩვენი მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი, 8 წლის **ნიკოლოზ იაკობიშვილი**. ვულოცავთ მათ ამ წარმატებას.

2023 წელში 9 და 10 წლამდე ვაჟებში კახეთის რეგიონის მაშტაბით დედოფლისწყაროელმა ვაჟებმა აშკარად დაიმკვიდრეს რეგიონში ლიდერთა პოზიცია. მათემ შვიდივე ტური მისთვის დამახასიათებელი შემტევი სტილით მოიგო და ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ამ ასაკში იგი ნამდვილი ლიდერია. თუ მარტყოფლიშვილის წარმატებები მის ,,საჭადრაკო კარიერაში" ბუნებრივად ჟღერს, ნიკოლოზ იაკობიშვილის 5,5 ქულით მეორე ადგილი - გარკვეული სენსაციაა, რადგან იგი ჭადრაკის ანბანს სულ რაღაც 8 თვის წინ ეზიარა და 8 წლის ნიკოლოზმა 9 წლიან ვაჟებს (რეგიონის მაშტაბით - 15 ვაჟი) 5 პარტია მოუგო, ერთი - ყაიმით დაასრულა და მხოლოდ ტურნირის ლიდერთან - მარტყოფლიშვილთან დამარცხდა. იმედია, ნიკოლოზი და მათე გააძლიერებენ ჭადრაკში სწავლის პროცესს

და 2024 წელს საქართველოს მასშტაბით იტყვიან თავიაანთ სიტყვას. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ საგარეჯოს ტურნირში 9 წლამდე ასაკის გოგონებში მონაწილეობა მიიღო დებიუტანტმა **ანა თეთვაძემ** (1,5 თვეა, რაც მეცადინეობა დაიწყო) და 3,5 ქულით 17 მონაწილეში მე-8 ადგილი დაიკავა. ვუსურვოთ ანას საჭადრაკო სიბრძნესთან მეტი თანაზიარობა.

ცნობისათვის - კახეთის სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში (მაგ. საგარეჯო, გურჯაანი, ლაგოდეხი) 6 და 7 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა რაოდენობა ბოლო წლებში მკვეთრად გაიზარდა. ეს იმ დროს, როცა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ამ ასაკში არც-ერთი მოჭადრაკე არ გვყავს. ასევე, საბავშვო ბაღის აღმზრდელებსაც ვთხოვდით, რომ შესაბამისი ნიჭის აღმოჩენისას, დაუყოვნებლივ შეატყობინეთ მშობლებს.

გიორგი (გოგი) კიკილაშვილი
დედოფლისწყაროს ჭადრაკის წრის პედაგოგი, კახეთის ფედერაციის გენერალური მდივანი

საახალწლო საჩუქრები გზაშია

სადღესასწაულო პერიოდის ათვლა უკვე დაიწყო, შესაბამისად, სულ უფრო მეტს ვფიქრობთ საახალწლო საჩუქრებზე. ეს პროცესი რამდენადაც სასიამოვნოა, იმდენად გამოწვევებთანაა დაკავშირებული, რადგან იდეალური საჩუქრის შერჩევა დიდ დროსა და ადრესატის სურვილების მაქსიმალურ გათვალისწინებას მოითხოვს.

საახალწლო საჩუქრების შერჩევის პროცესი მაქსიმალურად რომ გავიმარტივოთ და დროისა და ენერგიის დაზოგვაც მოვახერხოთ, ონლაინ მაღაზიებსაც შეგვიძლია მივმართოთ,სადაც საჩუქრებს ნებისმიერი გემოვნებისა და საჭიროების მქონე ადამიანისათვის ვიპოვით, იქნება ეს მშობელი, და-ძმა, მეგობარი თუ მეუღლე.

რა სჯობს საჩუქრად ახალი წლის დღესასწაულისთვის?

ციფრულ სამყაროში თანამედროვე ტექნიკა ყოველთვის კარგი საჩუქარია. მაგალითად, ტელეფონი ან კომპიუტერული ტექნიკა. ამით ადრესატის ყოველდღიურობას მნიშვნელოვნად გავაუმჯობესებთ. თუკი ფოტო-ვიდეო აპარატურას შევარჩევთ, ამით შესაძლოა მას ახალი თავგადასავლების ძიებისა და მოგზაურობის მოტივაციაც მივცეთ. თუ გვყავს მეგობარი ან ოჯახის წევრი, რომლისთვისაც კულინარია ხელოვნების დარგია, შეგვიძლია ახალ-ახალი რეცეპტების დასატესტად სამზარეულოს ტექნიკა შევურჩიოთ.

მცირე ავეჯი და სახლის დეკორაციები შესანიშნავი საახალწლო საჩუქარია, განსაკუთრებით მაშინ, თუ მას ახალმოსახლეს ვჩუქნით. ფუნქციურის გარდა, მას ემოციური დატვირთვაც ექნება, რადგან ყოველთვის ჩვენს თავს გაახსენებს. როგორც წესი, პრაქტიკული საჩუქრები ყოველთვის ღირებულია და სწორედ ამ კატეგორიას მიეკუთვნება სახლის აქსესუარები თუ ტექნიკა. დღეს ბაზარზე ისეთი მრავალფეროვანი არჩევანია , შეგვიძლია ზუსტად გავითვალისწინოთ ადრესატის გემოვნება.

წიგნის შერჩევა რომ შეგიძლია საახალწლოდ, იცოდით? თუ გვინდა მეგობარს დაუმტკიცო, რომ მის გემოვნებას კარგად ვიცნობთ, შევურჩიოთ ზუსტად მის ინტერესებზე მორგებული წიგნი შესაბამისი კატეგორიიდან. და თუ ისიც ვიცით, რომ ბეჭდური წიგნიდან კითხვას Kindle-ს გამოყენება ურჩევნია, მასაც უცებ აღმოვაჩენთ ტექნიკის მაღაზიებში.

ყველას გვყავს ერთი მეგობარი მაინც, რომელსაც განსაკუთრებულად უყვარს თავის მოვლის საშუალებები და კოსმეტიკა. ხომ ვიცით, მას ყველაზე მეტად რაც გაახარებს?! დავათვალიეროთ და ვიპოვეთ ყველაფერი სახის, ტანის, თმის და პირის ღრუს მოვლისთვის.

აი, ზოგიერთი ჩვენი მეგობარი კი პირველი დეკემბრიდან იწყებს ახალ წლამდე დღეების დათვლას. მისთვის ყველაზე ემოციური საჩუქარიც სწორედ საახალწლო დეკორაციები და განათებები შეიძლება იყოს. შევურჩიოთ და კიდევ უფრო მეტად გავუხალისოთ დღესასწაული.

ყველაზე მთავარი არ გამოგვრჩეს - ვინ ელოდებიან ახალ წელს განსაკუთრებულად? რა თქმა უნდა, ბავშვები. გადავხედოთ ონლაინ თუ ჩვეულებრივ მაღაზიებს და ვიპოვოთ საჩუქარი ყველა ასაკისა და ინტერესების მქონე ბავშვისთვის.

მოკლედ, ეფექტურ სანტობას გისურვებთ! წინ დიდი სამზადისი გველის და უკვე ვიცით, მარტივად როგორ მოვაგვაროთ - დავათვალიეროთ და შევარჩიოთ საჩუქრები, როგორც სახლიდან გაუსვლელად, ისე მაღაზიებსა თუ ბაზრობებზე. არ დავკარგოთ დრო,გავუხალისოთ ჩვენთვის ძვირფას ადამიანებს ახალი წელი!

ბედნიერი შობა-ახალი წელი!

მოამზადა **ელზა ხარაშვილმა**

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი"

2024 წლისთვის გაზეთ „შირაქის" პერიოდულობა კვლავ ყოველკვირეული იქნება, რვაგვერდიანი და ფერადი. გამოწერის ღირებულება მთელი წლით 20 ლარია, ხოლო 6 თვით - 10 ლარი.

გამოიწერეთ და სახლში მიიღეთ გაზეთი „შირაქი" – შეიტყვეთ ყველაფერი დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

მადლიერება!

ჩვენი გულითადი მასპინძლობისთვის უღრმეს მადლობას ვუხდით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის დირექციას. მათი ძალისხმევით, მიმდინარე წლის 1 დეკემბერს მართლაც საინტერესო შეხვედრა შედგა დედოფლისწყაროში დაინტერესებულ საზოგადოებასთან.

პატივისცემით ენათმეცნიერები:
ქეთევან ჯერვალიძე, ქეთევან გოდერძიშვილი, მარიკა ჯიქია.

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 18.12	სამშაბათი 19.12	ოთხშაბათი 20.12	ხუთშაბათი 21.12	პარასკევი 22.12	შაბათი 23.12	კვირა 24.12
დღე	3°	6°	8°	9°	8°	8°	9°
ღამე	−1°	−1°	0°	2°	2°	2°	3°

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (კორესპონდენტები); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის" სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი